გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 40
(11 802)

21 – 24 მაისი, 2004 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერშია:


- SOS, არ ჩატარდება, მორჩა...
- საქართველო – ისრაელის მატჩის მოლოდინში
- ფეხბურთის პროგრამაც მატიანეა
- დიდი იოჰან კრუიფი
- ჰიტცფელდი გააძევეს
- ანანდი ფიდეს აუმხედრდა
- ტაისონი ბრუნდება...
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი






## ფიფა-100

1904 წლის 21 მაისს პარიზში შეიქმნა ფიფა (ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაცია).

დღეს, 21 მაისს, ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, პარიზში გაიმართება საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების მატჩი.





## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო მიხეილ!

დღევანდელი საქართველო მოწმეა თქვენი უმაგალითო სიმამაცის, გამბედაობის და სიბრძნის, რის საშუალებითაც მოხდა მთელი მსოფლიოსათვის ჯერაც ამოუხსნელი და განსაცვიფრებელი ორი ხავერდოვანი „ვარდების რევოლუცია". დაიწყო საქართველოს გაერთიანებისა და გამთლიანების ისტორიული პროცესი. დავიბრუნეთ საქართველოს ძირძველი კუთხე აჭარა. იმედია, ჩქარა ვიზეიმებთ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემოერთებასაც.

ჩვენ, საქართველოს სახელოვანი სპორტსმენები, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონები, ვეტერანი სპორტსმენები და მთელი ქართული ჭიდაობის სამყარო, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ ჩვენი სამშობლოს გამთლიანებისათვის, მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. დავდგებით იქ, სადაც ჩვენს ქვეყანას ყველაზე მეტად დავჭირდებით.

ბატონო მიხეილ! გვიგულეთ თქვენს გვერდით საქართველოსა და ჩვენი ერის სიძლიერის და კეთილდღეობისათვის.

პატივისცემით,

**გურამ სადარაძე,**
**საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.**

## მილოცვები



სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს წარსულში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ გამორჩენილ კალათბურთელს, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს, თბილისის სპორტის სასახლის დირექტორს **ვალერი ლომაძეს.**

* * *

ქ. თბილისის ოლიმპიური კომიტეტი, პირადად მისი თავმჯდომარე ვლადიმერ კანკავა დაბადებიდან 65 წლისთავს ულოცავს სახელოვან ვეტერან კალათბურთელს, სააქციო საზოგადოება „თბილისის სპორტის სასახლის" დირექტორს **ვალერი ლომაძეს.**

## გიწვევთ საჯარო განხილვაზე

როგორც „ლელოს" მკითხველებმა იციან, საქართველოს სპორტულ წრეებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, აღარ ფიგურირებს არც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სტრუქტურა, არც სპეციალისტის თანამდებობა. ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ განათლების სისტემა უარს ამბობს მოზარდი თაობისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ჰარმონიული სრულყოფის მთელ მსოფლიოში აპრობირებულ ისეთ აუცილებელ საშუალებაზე, როგორიცაა ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

სპორტის სპეციალისტთა, ფიზაღზრდის მასწავლებელთა, ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელთა, მშობელთა მრავალრიცხოვანი არმიის საერთო განწყობისა და პოზიციის გათვალისწინებით, სამშაბათს, 25 მაისს, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, 15 საათზე დანიშნულია საჯარო დისკუსია ზემოხსენებულ პრობლემაზე, დარგის სპეციალისტთა და მასმედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

## გაჩემპიონება „დინამოს" კალათბურთელებსაც გაუჭირდათ...



გუშინ, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში მე-13 ეროვნული ჩემპიონატის ფინალური მატჩის მეოთხე შეხვედრა „დინამოსა" და „ბასკოს" კალათბურთელთა შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, სერიის წინა თამაშისგან განსხვავებით, დაძაბული გამოდგა. პირველი მეოთხედი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დაწინაურებას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა, მაგრამ ბერიშვილისა და ბერძენიშვილის აქტიური თამაშის წყალობით ბათუმელმა კალათბურთელებმა იძალეს და პირველი ათ-წუთიანი მონაკვეთი 24:18 მოიგეს. მეორე მეოთხედში სურათი არ შეცვლილა. „ბასკო" ისევ ინარჩუნებდა ოთხქულიან ფორას, რომელიც მატჩის პირველ მეოთხედში მოიპოვეს. შესვენებაზე გუნდები რომ წავიდნენ, ტაბლო 50:44 აჩვენებდა. თამაშის მეორე ნახევარში უხეშობამ იმატა. კალათბურთელები ერთმანეთს არ ზოგავდნენ და ჩხუბზეც კი გადავიდნენ. მსაჯმა მაჩალაძემ უდისციპლინო საქციელისთვის მოედნიდან გააძევა ბათუმელი კეშელავა და თბილისელი კილაძე. მესამე მეოთხედი ზღვისპირელებმა 12 ქულის სხვაობით მოიგეს. მატჩის ბოლო ათ წუთში „დინამო" ბევრს ეცადა, ბექანიშვილს სროლებიც კი კარგად წაუვიდა, მაგრამ თამაშს ხსნა არ ეწერა. ბექანიშვილი გუნდში ყველაზე სასარგებლო იყო. მან „დინამოს" 21 ქულა შესძინა. „ბასკომ" 93:81 იმარჯვა. ახლა ყველაფერს სერიის ბოლო მეხუთე მატჩი გადაწყვეტს. ეს შეხვედრა 22 მაისს 15 საათზე გაიმართება.

**ირაკლი სარალიძე**

**P.S. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მატჩში თავი იჩინა ექსცესებმა. გამორიცხული არ არის, გადამწყვეტ შეხვედრაში დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწიოს. ამიტომ საჭირო იქნება საზოგადოებრივ წესრიგის დამცველთა მობილიზება.**

## დღეს მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი იწყება

დღეს, ელისტაში იწყება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი მოჭადრაკე ქალებიც ასპარეზობენ. შეჯიბრება ნოკაუტ-სისტემითაა, რაც იმას ნიშნავს, რომ წყვილებში დამარცხებული მოჭადრაკეები ავტომატურად ეთიშებიან ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლას. პირველ ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე ხვდება ფარიდა აროუჩეს, სოფიკო ტყეშელაშვილი ხუ იუ ხუას, ნანა ძაგნიძე — ჯენიფერ შაჰადეს, ნინო ხურციძე — ეკატერინა პოლიზნიკოვას, მაია ლომინეიშვილი — ირინა სლავინას, ანა მათნაძე — ოლღა ალექსანდროვას, ხოლო ლელა ჯავახიშვილი — ნადეჟდა კოზინცევას.





ზემოთ ჩამოთვლილი ქართველი მოჭადრაკეების გარდა, კიდევ ორი ჩვენი თანამემამულე თამაშობს, რომლებიც სხვა ქვეყნების ღირსებას იცავენ — ქეთინო კახიანი-გრანტი ეთამაშება ანა დი ნგუიენს, ხოლო რუსუდან გოლეთიანის მეტოქეა იზაბელა პეპტანი.

## დეპარტამენტმა თანატოლები გადააგდო

SOS

თუ იმდენად გათამამდი, რომ პასუხისმგებლობას აღარავის წინაშე გრძნობ, მაშინ სინდისის შინაგან ქენჯნას მაინც უნდა მიუგდო ყური და უმალვე იგრძნო პასუხისმგებლობას თუნდაც საკუთარი თავის წინაშე. არა, ახალგაზრდობას ყველაფერი ნამდვილად არ ეპატიება, მით უფრო, თანატოლთა გაწბილება, მოტყუება, ჟარგონზე რომ ვთქვათ, – გადაგდება.

არადა, საქართველოს ახალგაზრდობის დეპარტამენტმა სწორედ ასეთი ნაბიჯი გადადგა. „სტუდენტური დღეები 2004"-ის პროგრამით გათვალისწინებული მძლეოსნური კროსი, რომელიც დაგეგმილი იყო 20 მაისის 11 საათისთვის და რომლის ორგანიზებაში მძლეოსნობის ფედერაციასთან და სპორტის აკადემიასთან ერთად სწორედ ახალგაზრდობის დეპარტამენტს უნდა გაელო ლომის წილი, დეპარტამენტის უპასუხისმგებლობით ჩაიშალა, ახალგაზრდობის დეპარტამენტმა ღონისძიების წინა საღამოს განაცხადა, რომ კროსი უნდა გადაედოთ, რატომ? თურმე პრიზები ვერ შეუძენიათ დროულად. მერე და რატომო, იკითხავთ და მართალიც იქნებით. პრიზების შესაძენად და დიპლომების დასაბეჭდად თადარიგი დროზე რომ დაეჭირათ, ამას რა შეხსენება და წაჯიკავება უნდოდა.

უპასუხისმგებლობამ კი ის გამოიწვია, რომ 19-ში ღამე, ორგანიზაციები და შეჯიბრებების მონაწილენი ვერ გააფრთხილეს, შეიკრიბნენ დანიშნულ დროს მეორე დილით, ბოდიში სპორტის მუშაკებმა მოუხადეს და დაიშალნენ.

დავძენთ, რომ ზემოხსენებული მიზეზით მასობრივი სპორტული ღონისძიების ჩაშლა უპრეცედენტო შემთხვევაა ქართული სპორტის ისტორიაში.

ც. ბაქრაძე

## მოგება არც იყო მოსალოდნელი



საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრების პირველმა ოფიციალურმა შეხვედრამ 2005 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურში (13 კატეგორია) დიდი ინტერესი გამოიწვია. საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით, შვედეთის ნაკრებს საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ მათ კაპიტანს, სოფია მოლინს ნაკრებში 92-ჯერ უთამაშია.

პირველი სეტის დასაწყისი გარდამავალი უპირატესობით მიდიოდა, შემდეგ ჩვენმა გოგონებმა შეძლეს დაწინაურება, მეტოქეს ხუთი ქულით გაუსწრეს — 14:9. საერთოდაც, პირველი სეტი ქართველი ფრენბურთელების სასარგებლოდ 25:21 დასრულდა.

მეორე სეტში სტუმრები თავიდანვე დაწინაურდნენ — 8:1 იგებდნენ, თუმცა ჩვენმა გოგონებმა მოახერხეს მობილიზება და ანგარიში ხუთ ქულამდე შეამცირეს — 7:12. მერე გერლიანისა და გამთამაშებელ ბუდაგოვას კარგი თამაშის წყალობით მასპინძლებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება 20:20, და საბოლოოდ, მეორე სეტიც მოიგეს — 25:22. შესვენებაზე საქართველოს პირველი ლედი, ქალბატონი სანდრა რულოვსი (სურათზე) ეროვნული ნაკრების სპორტული კომპლექტით დაასაჩუქრეს.





მესამე სეტში ჩვენს გოგონებს დაღლა დაეტყოთ, მეტოქემ შანსები გამოიყენა და 8 ქულა ზედიზედ მოიპოვა 9:20. ჩვენებს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ფაქტობრივად აღარც უბრძოლიათ და სეტში დამარცხდნენ 21:25. მეოთხე სეტიც შვედებმა ასეთივე ანგარიშით მოიგეს. ანგარიში გათანაბრდა — 2:2.

გადამწყვეტ სეტში, მართალია თავიდან ჩვენი გოგონები 10:8 დაწინაურდნენ, მაგრამ სულ ეს იყო, მეტი ვეღარაფერი გააკეთეს — 10:15 და 3:2 შვედების სასარგებლოდ.

**იზმო პელტო არვო** — შვედეთის ნაკრების მწვრთნელი: „საქართველოს ნაკრებმა კარგად ითამაშა, მათ ბევრი პრობლემა შეგვიქმნეს, გუნდს მებრძოლი სული აქვს, ჩვენი გუნდი ბოლომდე დაიხარჯა და შევძელით ორი წაგებული სეტის შემდეგ ზედიზედ სამი მოგვეგო."

**ნუგზარ მიქაძე** — საქართველოს ნაკრების მწვრთნელი: „წაგება ცუდია... ჩვენ დავთმეთ მატჩი ორი მოგებული სეტის შემდეგ. სამწუხაროა, რომ ამდენ მაყურებელს იმედი გავუცრუეთ. თუ ჩვენს მიმართ ყურადღება გაიზრდება, გვერდში დაგვიდგებიან, გავიმარჯვებთ. რაც შეეხება ვიქტორია რავას, მან მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა და ჩვენს ნაკრებს ვერ დაეხმარებოდა".

**თათია სულაბერიძე**

**ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა**

## ლევან ცაგურიამ მესამე ბარიერიც გადალახა

სუმოს უპირველესი ქართველი ოსტატი ლევან ცაგურია (კოკკაი) წარმატებით განაგრძობს იაპონიის იმპერატორის თასის გათამაშებაში ასპარეზობას, ჩვენთვის უცხო, მაგრამ იაპონელთათვის ტრადიციულ და ხალხის საყვარელ სპორტის სახეობაში — სუმოში. ორი ეტაპი, ანუ ორი ბაშო ლევანმა წარმატებით გაიარა და ახლა მესამე ბაშოშიც ლიდერთა შორისაა. იმისათვის რომ მეოთხე ბაშოზე უფრო მაღალ რანგში ესპარეზა და უძლიერესთა შორის შეენარჩუნებინა ადგილი, ლევან ცაგურიას უნდა მოეგო მინიმუმ რვა შეხვედრა მესამე ბაშოზე. ეს ამოცანა ჩვენებურმა წარმატებით შეასრულა — სასურველ მერვე გამარჯვებას მან ამ ასპარეზობის მე-11 დღეს მიაღწია.

# ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ ფიზიკურად ჯანმრთელი სპორტსმენები უნდა გაემგზავრონ

სანამ უშუალოდ სპორტსმენთა ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის საკითხს შევეხებოდე, ორიოდე სიტყვით მინდა აღვნიშნო მათი ფსიქოლოგიური მომზადების შესახებ, ვინაიდან სპორტსმენის ფსიქოლოგიური მომზადება მჭიდრო კავშირშია მის ფიზიკურ მდგომარეობასთან და პირიქით.

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება ძირითადად მაღალკვალიფიციურ და ამავე დროს განათლებული მწვრთნელების მიერ ხორციელდება, მაგრამ უმაღლესი დონის სპორტულ ღონისძიებებში (მაგალითად, ოლიმპიურ თამაშებში) მონაწილეობასთან დაკავშირებით თვით მაღალი კლასის სპორტსმენებს ექმნებათ ისეთი მდგომარეობა, რომლიდან გამოსვლა მოითხოვს წვრთნის პროცესში ფსიქოლოგის ჩართვას. ამიტომ საქართველოს ოლიმპიელთა გუნდის მომზადების დროს ეს ფაქტორი მხედველობიდან არ უნდა იყოს გამორიცხული, განსაკუთრებით კი, სპორსტმენთა მომზადების უკანასკნელ ეტაპზე.

სპორტსმენთა ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის შეფასების დროს, როგორც წესი, ყურადსაღებია მისი სამი მხარე: ჯანმრთელობის, ფიზიკური განვითარებისა და ფიზიკური მუშაობის უნარის (ფიზიკური მომზადების) მდგომარეობა. სამწუხაროდ, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება შეხვდეთ ისეთ მაღალკვალიფიციურ სპორტსმენს (ოლიმპიელს), რომელსაც არ აღენიშნებოდეს ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ რაიმე გადახრა (ტრავმა), რაც მოითხოვს დროულ მკურნალობასა და რეაბილიტაციას, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპორტსმენის ორგანიზმის ჯანმრთელობის მხრივ ამა თუ იმ პათოლოგიის დროულად გამოვლინება იძლევა საშუალებას მოკლე ვადებში კომპლექსური სამკურნალო ღონისძიებების თანამედროვე დონეზე გატარების გზით მოხდეს სრული განკურნება და სპორტსმენი ასპარეზობაზე გაიგზავნოს ფიზიკურად მზადყოფნაში. თუ ვიქნებით გულახდილები, უნდა ითქვას, რომ არც თუ იშვიათად, სპორტსმენის, მწვრთნელისა და თვით ექიმის დაუდევრობის, ვიტყოდი, გაუნათლებლობის გამოც, სპორტსმენი საპასუხისმგებლო სპორტულ ფორუმზე ფიზიკური მდგომარეობით არა სასურველ მდგომარეობაში მყოფი მიემგზავრება, რაც შემდეგ ხდება მისი წარუმატებლობის მიზეზი. მერე ჟურნალისტების წინაშე განცხადება, რომ სპორტსმენი არაჯანმრთელ მდგომარეობაში გამოვიდა სარბიელზე, რამაც განაპირობა დაბალი შედეგი, პირადად მე არ მიმაჩნია გამართლებულად.

გავიხსენებ ჩემი 54-წლიანი პრაქტიკიდან ერთ შემთხვევას. იაპონიაში, ოლიმპიურ თამაშებზე, რომაულ-ბერძნული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებში შეიყვანეს ჩვენი ერთ-ერთი თანამემამულე, მსოფლიოს ჩემპიონი, სახელოვანი სპორტსმენი (გვარს ვერ დავასახელებ). მას გადატანილი ჰქონდა „ბოტკინის" დაავადება, სრული გამოჯანმრთელებისთვის საჭირო ვადა კი ჯერ არ იყო გასული. ამ სპორტსმენმა დღესაც არ იცის, რომ პირადად მე ვიყავი ოლიმპიურ თამაშებში მისი გამოსვლის წინააღმდეგი. დარწმუნებული ვიყავი, რომ ვერ მიაღწევდა სასურველ შედეგს. ასეც მოხდა. მე კი, მაშინ „ურჩობისთვის" ოლიმპიადაზე გასამგზავრებელ ექიმთა სიიდან ამომიღეს. თუმცა, არ დავმალავ, მფარველებად მყავდნენ სკოლის მეგობარი, ჟურნალისტი მელორ სტურუა და კოლეგა, პროფესორი ზინაიდა მირონოვა...

ნებისმიერ შეჯიბრებაზე, მით უმეტეს, ოლიმპიურ თამაშებზე, სპორტსმენები უნდა იგზავნებოდნენ არა მარტო ფიზიკურად, ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფსიქოლოგიურად მზადყოფნი, არამედ, არ უნდა აღენიშნებოდეს თუნდაც ფუნქციური ხასიათის რაიმე პათოლოგიური გადახრა და აუცილებლად იმყოფებოდეს კომპენსაციურ მდგომარეობაში.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? უპირველესი პირობაა ყველა ოლიმპიელისათვის სამედიცინო გამოკვლევების (კლინიკურ-ლაბორატორიულის ტესტირების, საექიმო-პედაგოგიურისა და სხვ). საბოლოო ჩატარება გამგზავრებამდე 1-1,5 თვით ადრე. დაუშვებელია მაღალკვალიფიციური სპორსტმენი საპასუხისმგებლო შეჯიბრზე მიემგზავრებოდეს, როცა მას საექიმო შემოწმება ექვსი და მეტი თვით ადრე ჰქონდა გავლილი. ამ პერიოდში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციას უნდა ასრულებდეს ექიმთა ის პერსონალი, რომლებსაც დავალებული აქვთ ოლიმპიელთა სამედიცინო უზრუნველყოფა. ამ პერიოდში ექიმები ისე უნდა მუშაობდნენ, როგორც საავადმყოფოში ორდინატორები, რათა ხორციელდებოდეს ოლიმპიადებზე უწყვეტი სამედიცინო მეთვალყურეობა. სპორტული მედიცინის სპეციალისტები ვალდებული არიან აგონ პასუხი სპორტსმენთა ორგანიზმის ფიზიკურ მდგომარეობაზე, რისი დადგენაც არ წარმოადგენს სირთულეს, მაგრამ მისი პრაქტიკულად შესრულება მოითხოვს ექიმისაგან პროფესიონალიზმისა და საქმისადმი დიდი ერთგულების გამოვლინებას.

**რომანოზ სვანიშვილი,**
**პროფესორი.**

# თემურ მატოიანი



დიდებული სპეციალისტი, დიდებული პიროვნება და დიდებული თბილისელი, ასე იცნობდნენ საქართველოში სასტენდო სროლის ვეტერანს და ნიჭიერ მწვრთნელს თემურ მატოიანს. კაიკაცობა ყველგან თან სდევს ადამიანს, თუკი ეს მრავლისმთქმელი თვისება მას ბუნებით აქვს მომადლებული. ამ თვისებამ არ იცის საზღვრები, ეროვნება, განსხვავებული რელიგია. ასე შეიყვარეს თბილისელი კაცი სირიაში, კუვეიტში, კვიპროსზე, ინდოეთში, საბერძნეთში. მასზე, როგორც იტყვიან, პირდაპირ ტაციობა იყო, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელზე. ზემოხსნებული ქვეყნების სპორტულ მატიანეში თემურ მატოიანმა წარუშლელი კვალი დატოვა — ან დანერგა, ან ახალ სიმაღლეზე აიყვანა სასტენდო სროლა, მოამზადა მაღალი რანგის მესტენდურეები. საბერძნეთს გუნდური მსოფლიო თასი მოაგებინა. ახლა საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს ამზადებდა ათენში ოლიმპიურ სასროლეთზე საასპარეზოდ. ავსტრიაში ნაკრებთან ერთად ჩასულს, თავის საქმეზე ფანატიკურად შეყვარებულ მწვრთნელს, შეჯიბრების მსვლელობაზე თვალის დევნებისას უწია უეცარმა სიკვდილმა.

მას შემდეგ, რაც თბილისში სტენდები განადგურდა, თ. მატოიანმა, რომელსაც სპორტის ამ სახეობის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოედგინა, უცხოეთის ქვეყნებს მიაშურა. იქიდან მუდამ უმართავდა ხელს, ვისაც ეკონომიკური დახმარება ესაჭიროებოდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დაბრუნდებოდა სამშობლოში, ოღონდ, სასროლეთზე. „წამიყვანეთ, უცხოეთში ხომ არ უნდა მოვკვდეო" — ხშირად უთვლიდა მეგობრებს. ვეღარ მოესწრო. ოლიმპიადის შემდეგ ბელორუსიაში აპირებდა მუშაობას და ნოსტალგიის ნაწილობრივ გაქარვებას.

თ. მატოიანი სსრ კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი, მსოფლიოს თასის მესამე პრიზის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი იყო, კარგი სპორტსმენები ყოველთვის როდი ხდებიან დიდი მწვრთნელები. თემურმა მსოფლიოს უძლიერეს მწვრთნელთა შორის დაიმკვიდრა სახელი. ამიტომაც მთელ სამყაროს ელვის სისწრაფით მოედო მისი უეცარი დაღუპვის ამბავი. გარდაიცვალა 17 მაისს, მეორე დღეს 55 წლის გახდებოდა.

ხვალ, 22 მაისს, თ. მატოიანს უკანასკნელ გზაზე გააცილებენ. დელეგაციები ჩამოდიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა ღირსეული პატივი მიაგონ ღირსეულ პიროვნებას.

**სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,**
**სროლის ფედერაცია,**
**„ლელოს" რედაქცია.**

# სომხეთიდან გამოყოლილი ოპტიმიზმი

ამას წინათ, თბილისში ევროპის ჩემპიონ დ. კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე ქართველ ჭაბუკებთან ერთად სომეხმა მოკრივეებმაც ისპარეზეს და ორ წონით კატეგორიაში გამარჯვებასაც მიაღწიეს. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა არარატ ბარსეგიანმა ქართველი მოკრივეები სომხეთში მიიწვია სომხეთის დამსახურებული მწვრთნელის, ვაზგენ ბადალიანის სახელობის პირველ საერთაშორისო ტურნირზე ქ. ვანაგორში (ყოფილი კიროვაკანი). ტურნირი დაემთხვა ამაგდარი მწვრთნელის, წარსულში თვითონაც უძლიერესი მოკრივის დაბადებიდან 50 წლისთავს. მის აღსაზრდელთა შორის არიან ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები — მუნჩიანი, პაპიანი, კაზარიანი... ქართველ ჭაბუკ მოკრივეთა გუნდის (1988-89 წ.წ. დაბადებულები) შემადგენლობაში იყვნენ თბილისის, ფოთის, ბორჯომის და ახალციხის კადეტი მოკრივეები. გუნდს ახლდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული დ. კვაჭაძის სახელობის ბავშვთა და მოაზრდთა კრივის ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული სასპორტო სკოლის უფროსი მწვრთნელი რამაზ ნიკოლაძე და ამავე სკოლიდან — არტურ ბურდიანცი. მოვუსმინოთ **რამაზ ნიკოლაძეს:** „მასპინძლებმა ძალიან გულთბილად მიგვიღეს, ტურნირიც მაღალ დონეზე ჩაატარეს, კრივს ჩვენი მეზობლები განსაკუთრებულ პატივს სცემენ, ამიტომ მიღწევებით ახლაც და საბჭოთა პერიოდშიც იწონებდნენ თავს. სომხეთის ყველა ქალაქის ჭაბუკმა მოკრივეებმა სცადეს ბედი რინგზე. ვაზგენ ბადალიანის აღზრდილი ტიტულოვანი რამდენიმე მოკრივეც დაესწრო შეჯიბრებას".



გელა მამადაშვილი

ქართველი მოკრივეებისთვის ეს ტურნირი მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო ევროპის პირველობის წინ, რომელიც სარატოვში ჩატარდება სექტემბერში. სომხეთში გამგზავრებამდე ჩვენები მონაწილეობდნენ საქართველოს პირველობაში — ყვარელში და დ. კვაჭაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირში, თბილისში.

ვანაგორის ტურნირით ჩვენი მწვრთნელები კმაყოფილები დარჩნენ. ფინალში გამარჯვება ჩვენი გუნდიდან მხოლოდ თბილისელმა გელა მამადაშვილმა (70 კგ) შეძლო. არც სხვებს დაუზოგავთ თავი. ფინალში გავიდა ფოთელი გიორგი მიმინოშვილი (48), რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა მცირე უპირატესობით დაუთმო მეტოქეს. კიდევ ერთმა ფოთელმა — გიორგი რევინოვმა (60) ფინალში გასასვლელი ბრძოლა დათმო და მესამე ადგილს დასჯერდა. მესამე საპრიზო ადგილი ერგო ბორჯომელ გიორგი ტეტუნაშვილსაც (57) წონით კატეგორიაში.

„მსაჯობა ობიექტური იყო. მთავარი მსაჯი თავად იუბილარი იყო. მსაჯობდა ჩვენი არტურ ბურდიანციც, რომელიც ტურნირის საუკეთესო მსაჯად აღიარეს. რაც შეეხება პრიზებს, სომხებმა ყველა გამარჯვებული სპეციალური მედლებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს. შეჯიბრება კი დასრულდა სადღესასწაულო ბანკეტით და დიდი კონცერტით ქალაქის კულტურის სახლში. ტურნირზე მომავალი წლისთვისაც მიგვიწვიეს" — თქვა **რამაზ ნიკოლაძემ.**

ახლა ჩვენი ჭაბუკები მოსკოვის ტურნირისათვის ემზადებიან. ტურნირს „იუნიე პერჩატკი" ჰქვია და 30-წლიანი ისტორია აქვს. სწორედ ამის შემდეგ გამოიკვეთება ნაკრების ბირთვი, რომელიც სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე მოემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის.

აზრის გამოთქმა ვთხოვეთ ზემოხსენებული სპორტსკოლის დირექტორს **რევაზ მეგრელიშვილს:** „ალბათ, ახალს არაფერს ვიტყვი იმით, რომ რაც მეტი იქნება ასეთი ტურნირები, მით უფრო ამაღლდება ჭაბუკ მოკრივეთა კლასი. ჩვენი სკოლა და მისი ფილიალები გვიმზადებენ კადრებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის. და რაც მთავარია, იზრდება სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა".

**მ. ძინძაძე**

# წინ ევროპის ჩემპიონატია

## ბატუტი, აკრობატიკა

5-12 ივნისს ქ. სოფიაში სტარტს იღებს მე-15 ევროპის ჩემპიონატი სინიორებსა და იუნიორებს შორის ბატუტზე ხტომასა და სპორტულ აკრობატიკაში. საქართველოს ნაკრები ძირითადად წარმოდგენილი იქნება ქ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური სპორტსკოლის (დირექტორი რ. ბერიკაშვილი) აღსაზრდელებით. ზამთრის საკმაო მძიმე პირობების შემდეგ ამ დღეებში პირველად ჩატარდა საქართველოსა და ქ. თბილისის მერიის ერთობლივი საკონტროლო — შესარჩევი პირველობა ზემოაღნიშნულ სახეობებში, სადაც 40 იუნიორი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია I ადგილზე გასულების, ლუბა გოლოვინასა და თენგიზ კოშკაძის გამოსვლა, რომლებმაც სავალდებულო ვარჯიშებით მოხიბლეს მაყურებლებიც და მსაჯებიც. მათ I ადგილები დაიკავეს. გოგონათა შორის II ადგილზე გავიდა სოფო გულიაშვილი, III-ზე — ნანა ღუქაშვილი. ვაჟთა შორის II ადგილი წილად ხვდა ბათუმელ ოსტატს ზურაბ ქჰონიას. მე-III იყო ოლეგ კოლოსოვი.

როგორც საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ზაურ სულაშვილმა თქვა, ნებისმიერ პროგრამას დახვეწა სჭირდება, ვინაიდან ვარჯიშები საკმაოდ გართულებულია და აღსაზრდელებს სითამამე და თვითდაჯერებულობა ჯერ კიდევ აკლიათ.

მწვრთნელი დღევანდელი შედეგებით, ჩვენი პირობებიდან გამომდინარე, კმაყოფილია. წინ კიდევ ორ კვირაზე მეტია დარჩენილი და ინტენსიური ვარჯიშებით შეეცდებიან დაძლიონ ხარვეზები.

ევროპაზე ჩვენი გუნდის კაპიტანი იქნება, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, წლევანდელი ოლიმპიადის ლიცენზიანტი რუსუდან ხოფერია.

**ანა ბინდერი.**

# ვინ რა თქვა...

- არაფერი ისე არ ცვეთს და ანგრევს ადამიანს, როგორც ხანგრძლივი ფიზიკური უმოქმედობა. **(არისტოტელე);**
- თუ კაცი თავის ჯანმრთელობას თავადვე მიხედავს, უკეთეს ექიმს ვერსად ნახავს. **(ევრიპიდე)**
- სხეული ისე ვერ განიკურნება, თუ ჯერ სული არ განიკურნა. **(სოკრატე);**
- ზომიერება ჯანმრთელობისა და ბედნიერების პირობაა. თუ ზომას გადავა კაცი, ყველაზე დიდ სიამოვნებას უდიდეს უსიამოვნებად აქცევს. **(დემოკრიტე)**
- ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, რასაც ადამიანი იღებს ბუნებისგან. **(ვ. კრილოვი).**

# დებიუტანტი

## ირაკლი შენგელია



**ცურვა**

დაიბადა 1994 წლის 17 ივნისს, თბილისში ცურვაში მეცადინეობს 6 წლის ასაკიდან მწვრთნელი — დიმა დიკი სწავლობს 61-ე საშუალო სკოლის IV კლასში „ლაგუნა-ვერეს" ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელი და ამ სკოლის ნაკრების წევრი „მხიარული დელფინის" შეჯიბრებებში სამგზის გამარჯვებული 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, თანრიგოსანია 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

# ცისკრის დაბრუნება



**თბილისის სკოლების მონაწილეობით კვლავ გაცოცხლდა წარსულში მოსწავლეთა შორის პოპულარული სამხედრო სპორტული თამაში „ცისფარი". ამ დღეებში გამართულ ამ ასპარეზობაში დედაქალაქის ნაკრებ გუნდებს შორის შესანიშნავი მომზადება გამოავლინა და პირველობა მოიპოვა 75-ე სკოლის გუნდმა (მთაწმინდა-კრწანისის რაიონი).**





# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №7 (21) მაისი, 2004 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული კარატე ეთნო-კონფლიქტების მოგვარების საკითხებში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს



ქართული სპორტის, კარატეს ისტორიაში კიდევ ერთი ოქროს ფურცელი ჩაიწერა _ საქართველოს კარატე_დოს ეროვნულმა ფედერაციამ პირველი რეგიონალური საერთაშორისო ტურნირი გამართა, ამჯერად სამცხე-ჯავახეთში. „ქართული კარატე ეთნო-კონფლიქტების მოგვარების საკითხებში უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს" _ განაცხადა ტურნირის დასაწყისში საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, შიხანმა კახა ბასილიამ.

ქართული კარატეს მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ტურნირმა გრანდიოზულად, მთელი ანშლაგით ჩაიარა, სადაც აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის რუსეთის და საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრებები ასპარეზობდნენ. ჩამოსულმა სტუმრებმა ისიც აღინიშნეს, რომ ქართველ კარატისტთა დონე უფრო და უფრო მაღალი ხდება და მათთან შერკინება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უკვე.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ შეჯიბრის დამთავრების შემდეგ აღნიშნა: „ტურნირმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა და კმაყოფილება მინდა გამოვთქვა როგორც ქართველი კარატისტების, ასევე სტუმრების მიმართ, რომლებმაც ბრწყინვალედ იასპარეზეს. აქვე მინდა განვაცხადო, რომ ეს ტურნირი ტრადიციული გახდება, უფრო გაფართოვდება და ერთ-ერთი პოპულარული გახდება საერთაშორისო ტურნირებს შორის. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ამ გრანდიოზული ტურნირის გენერალურ სპონსორს „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობ-სადენს და ასევე სპონსორს, საქართველოს რაბინს, ბატონ აბრამ მიხელაშვილს. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ იმის დასტურია, რომ საქართველოში კარატე დღითი დღე ვითრდება და პოპულარული ხდება. ქართული კარატე დღეს ერთ-ერთი ანგარიშგასაწევია ევროპისა და მსოფლიოს ასპარეზზე, რაც უსათუოდ ყველა თქვენგანის დიდი დამსახურებაა. და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს დიდი წარმატება _ უზარმაზარი, საერთაშორისო რეგიონალური ტურნირის ჩატარებას".

შეჯიბრის მონაწილეებს წარმატება უსურვეს საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა ბატონმა გიორგი ბარამიძემ და სპორტისა კულტურის მინისტრმა, ბატონმა გოკა გაბაშვილმა, რომელთა იმედებიც, ჩვენმა კარატისტებმა, ვფიქრობ, ამჯერადაც გაამართლეს, რა თქმა უნდა, მათი შემწეობით.

სტუმარი ქვეყნების კარატე-დოს ეროვნული ფედერაციების პრეზიდენტებმა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, კახა ბასილიას დიპლომი და ოქროს მედალი გადასცეს _ კავკასიაში კარატეს პოპულარიზაციისთვის, განვითარებისთვის და ამავე რეგიონში, საერთო პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების საქმეში გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის.

ჩვენ და საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ოქროს მედლების უმეტესობა საქართველოში დარჩა. „თითქმის ყველა ორთაბრძოლა კლასიკური მაგალითი იყო, განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს ლევან გორელაშვილის ბრძოლები, რისთვისაც იგი განსაკუთრებული პრიზით დავაჯილდოვეთ".

ხაბად ლუბავიჩის ცენტრი - საქართველო
ხაბად ლუბავიჩი
ტურნირის სპონსორი



ლევან გორელაშვილი
კახა ბასილია



ყურადღება! ყურადღება! ყურადღება!

23 მაისს, ფოთში, გაიმართება საერთაშორისო სემინარები, რომელსაც გაუძღვება საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, შიხანი კახა ბასილია.

**ყველა ინსტრუქტორის დასწრება სავალდებულოა!**

შემინარები გაიმართება ინსტრუქტორების, მსაჯებისა და სპორტსმენეთათვის.

**სემინარში მონაწილეობა უფასოა!**

სემინარის მონაწილეებს გადაეცემათ სათანადო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები.

ყურადღება!

არმიის სპორტული კლუბის შენობაში (უნივერსიტეტის ქუჩა №2) ჩატარდება თბილისის მე-4 საერთაშორისო სემინარი საბრძოლო ჯიუ-ჯიცუში. 22-29. 05. 2004წელი

მოწვეული ინსტრუქტორები: იურგენ შერხერი, შიხანი, (გერმანია), მე-6 დანი, ჯიუ-ჯიცუ, ტაი-ჯიცუ, ბო-ჯიცუ _ მე-2 დანი კობუდო, პირველი დანი _ ძიუდო. ჯონი ლენსკენსი, შიხანი, (ბელგია), მე-8 დანი ჰაკორიუ ჯიუ-ჯიცუ. სასაწყისი 23 მაისს 10 საათზე. შემინარები გაგრძელდება 5 დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ვაჟები**
**8 წელი**
ტურან აბასოვი
დათო დარჩია
გიორგი წერეთელი
სახიმ კულმანიევი

**9 წელი ვაჟები**
ალექს
გოგოლაშვილი
ირაკლი კირკიტაძე
ორაგველიძე შაკო
თორნიკე
მაზანიშვილი

**10 წელი**
ლაშა ამირანაშვილი
ელვინ მურადი
ლაშა ჯანგავაძე
რომეო ზოსიძე

**11 წელი**
გიორგი თავაძე
ლაშა ჯანგავაძე
ტურალ რახმანლი
თემურ ბალახაშვილი

**12 წელი**
ნორვუზ ალიევი
ილია
ალდგომელაშვილი
ნოვრუზ ალიევი
ეთიბარ რასულოვი

**13 წელი**
ლაშა კვამზირიძე
თორნიკე
გომართელი
ხაჩიკ ტოროგონიანი
გიორგი გოგიაშვილი

**14-15 წელი**
გიორგი
ლიპარტელიანი
ორხან ომაროვი
ორხან შაბანობი
ლადო ლვინიაშვილი

**16-17 წელი**
ლევან
გორელაშვილი
ალექსანდრე ჟამურაშვილი
მანუ ჩხაიძე
ირაკლი ქამადაძე

**18 წელი**
ნოშრევან წურწუმია
ლოვა გრიგორიანი
როვშან ვეხბუდოვი
ლოვა გრიგორიანი

**გოგონები**
**8-9 წელი**
ქეთინო დევდარიანი
თამუნა რამიშვილი
თინიკო ორაგველიძე

**10-11-12 წელი**
ნინო პატაშური
თათია თურქია
ილახა გასიმოვა
ნონა მერაბიშვილი

**15-17 წელი**
მეგი ხორავა
ჟანა ჭუბაბრია
მადონა გურგენიძე
ეთერ გავაშელი




ნუგზარ ჭიაბერაშვილი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი

## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში, სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით.

ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89. WWW.karate.ge
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცდიის ცენტრალური ოფისი

空手道

**მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრესცენტრის მიერ**

# საქართველო – ისრაელი

## ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ამხანაგური მატჩები

**საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ფრანგი მწვრთნელი კვირას, 23 მაისს მოუხმობს. გუნდი სასტუმრო „ბატესტაში" შეიკრიბება და ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან მატჩისთვის მზადებას დაიწყებს.** მეტოქის დელეგაცია 25 მაისს ჩამოვა და სასტუმრო „ქორთ იარდ მარიოტში" დაბინავდება. მატჩამდე ხუთი დღით ადრე, 22 მაისს, 12 საათზე ალენ ჟირესი და გია გურული პრესკონფერენციას გამართავენ და შეკრება-მზადების თაობაზე დაწვრილებით ილაპარაკებენ. 23 მაისს შეიკრიბება და სასტუმრო „სპაში" განთავსდება გოჩა ტყებუჩავას ახალგაზრდული ნაკრებიც. მასპინძელთა ორივე, ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები მზადებას 24 მაისიდან შეუდგებიან. ეროვნული ნაკრები ძირითადად „ოლიმპის" სტადიონზე ივარჯიშებს. 24 მაისს 10 და 17 საათზე და 26-27 მაისს — 10 საათზე. მასპინძელთა ახალგაზრდული ნაკრები სამ სტადიონზე ივარჯიშებს.

24 მაისს ორჯერადი ვარჯიშია დაგეგმილი. „ოლიმპიკზე" 11.30 საათზე და „შევარდენზე" 18 საათზე. 25 მაისს გუნდი, ისევ „ოლიმპიკზე", ორჯერ ივარჯიშებს, 11.30 და 18 საათზე. 26 მაისს, უშუალოდ პაექრობის არენას ეროვნულ სტადიონს 11 საათზე მიაკითხავს.

სტუმრები, ისრაელის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ჩამოსვლის დღესვე ივარჯიშებენ. ოლიმპიური გუნდი 25 მაისს „შევარდენის" სტადიონს 17 საათზე ეწვევა. ეროვნული ნაკრები კი მეორე დღეს, 26 მაისს, ორჯერად ვარჯიშს ჩაატარებს, 11 საათზე „შევარდენზე" და 17.30 საათზე „ოლიმპზე". საწვრთნელი გრაფიკი შეიძლება შეიცვალოს კიდეც, თუმცა, უმნიშვნელოდ.

გასაგები მიზეზების გამო, მეტოქე გუნდების წვრთნები არ ტარდება „ლოკომოტივის" არენაზე. რკინიგზელთა სტადიონი ორი დღის განმავლობაში, მნიშვნელოვან მატჩებს უმასპინძლებს. **26 მაისს, თასის ფინალს და 27 მაისს, საქართველო – ისრაელის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩს.**

ისრაელის ნაკრები ალენ ჟირესის გაწვრთნილი შეგირდებისათვის პირველი სერიოზული გამომცდელი იქნება. მატჩის შედეგი ბევრად განსაზღვრავს ფრანგი სპეციალისტის შემდგომ იმიჯს და ნაკრებთან მისი მუშაობის ტაქტიკას და სტრატეგიას. აქვე შეგახსენებთ, რომ ასევე 27 მაისს, 16 საათზე, ეროვნულ სტადიონზე ახალგაზრდული გუნდები ითამაშებენ.

## რეგიონული ლიგა

**დასავლეთი, XXV ტური**

დინამო (ქ) — დინამო (ზ) 0-3
ოლიმპიკი — მეშახტე 1-0
კოლხეთი (ხ) — ეგრისი 2-0
სქური — სულორი 2-0
იმედი — კოლხეთი2 1-1
სალხინო — დინამო2 (ბთ) 2-1
სტაბი — მალაროელი 1-2
რაჭა — ტორპედო2 (ქ) 4-2

**აღმოსავლეთი, XXV ტური**

ავაზა — ნორჩი დინამო3 0-3
ლოკომოტივი3 — ერთობა 5-0
იბერია — სიონი2 (ბოლნ) (26 მაისი)
თ.ს. აკადემია — თბილისი 3-1
ნ. დინამო2 — ჰერეთი 1-0
დინამო (სოხ.) — ნ. დინამო 0-3
ცხუმი — კრწანისი 2-1

**ცენტრალური, XXV ტური**

იბერი-აკადემია — ზარზმა 3-0
პრემა — ტონთიო 2-0
ირაო-ვაკე — ზოოვეტი 1-0
მესხეთი — ლიახვი 0-1

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 25 | 18 | 6 | 1 | 68-20 | 60 |
| ოლიმპიკი | 25 | 16 | 5 | 4 | 38-12 | 53 |
| სქური | 25 | 14 | 5 | 6 | 43-23 | 47 |
| სტაბი | 25 | 14 | 4 | 7 | 40-27 | 46 |
| კოლხეთი (ხ) | 25 | 14 | 3 | 8 | 33-27 | 45 |
| მეშახტე | 25 | 11 | 8 | 6 | 34-28 | 41 |
| რაჭა | 25 | 10 | 9 | 6 | 50-38 | 39 |
| დინამო (ზ) | 25 | 10 | 5 | 10 | 42-44 | 35 |
| სალხინო | 25 | 10 | 3 | 12 | 23-32 | 33 |
| იმედი | 25 | 8 | 8 | 9 | 28-31 | 32 |
| დინამო2(ბთ) | 25 | 8 | 5 | 12 | 23-30 | 29 |
| სულორი | 25 | 8 | 3 | 14 | 30-34 | 27 |
| ტორპედო2 | 25 | 7 | 4 | 14 | 28-43 | 25 |
| კოლხეთი-2 | 25 | 5 | 6 | 14 | 31-43 | 21 |
| ეგრისი | 25 | 5 | 1 | 19 | 24-68 | 16 |
| დინამო (ქ) | 25 | 2 | 5 | 18 | 19-61 | 11 |

**ცენტრალური**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თორი | 19 | 18 | 1 | 0 | 58-10 | 55 |
| მერანი | 18 | 12 | 2 | 4 | 31-16 | 38 |
| ზოოვეტი | 21 | 11 | 2 | 8 | 30-22 | 35 |
| პრემა | 20 | 11 | 1 | 8 | 34-24 | 34 |
| ლიახვი | 19 | 10 | 3 | 6 | 31-29 | 33 |
| ყაზბეგი | 19 | 9 | 5 | 5 | 28-14 | 32 |
| მცხ-ურ2 | 19 | 9 | 3 | 7 | 36-28 | 30 |
| იბერ-აკად. | 18 | 8 | 3 | 7 | 31-20 | 27 |
| მესხეთი | 21 | 8 | 2 | 11 | 28-28 | 26 |
| სამგორი | 20 | 8 | 2 | 10 | 26-43 | 26 |
| ტონთიო | 20 | 5 | 4 | 11 | 24-29 | 19 |
| ირაო-ვაკე | 19 | 3 | 0 | 16 | 16-49 | 9 |
| ზარზმა | 20 | 0 | 0 | 20 | 6-69 | 0 |

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 22 | 18 | 2 | 2 | 59-15 | 56 |
| სიონი2 | 23 | 15 | 4 | 4 | 46-19 | 49 |
| ლოკომ3 | 23 | 15 | 4 | 4 | 47-18 | 49 |
| ცხუმი | 23 | 12 | 5 | 6 | 44-24 | 41 |
| ნორჩ. დინ. | 24 | 11 | 6 | 7 | 43-32 | 39 |
| თ.ს. აკად. | 23 | 10 | 7 | 6 | 35-25 | 37 |
| კრწანისი | 22 | 11 | 2 | 9 | 53-41 | 35 |
| ნორჩ. დინ2 | 23 | 10 | 3 | 10 | 34-31 | 33 |
| ავაზა | 23 | 8 | 4 | 11 | 28-33 | 28 |
| თბილისი | 23 | 7 | 6 | 10 | 37-37 | 27 |
| დინამო(სოხ) | 22 | 7 | 4 | 11 | 32-40 | 25 |
| ჰერეთი | 23 | 6 | 7 | 10 | 19-25 | 25 |
| ერთობა | 24 | 5 | 3 | 16 | 14-49 | 18 |
| ნორ. დინ3 | 23 | 3 | 4 | 16 | 26-67 | 13 |
| იბერია | 23 | 2 | 1 | 20 | 23-77 | 7 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

## გამოუცნობი ფინიში

ერთი ტურიც და XV საფეხბურთო ეროვნული ჩემპიონატი ისტორიის კუთვნილება გახდება. მეორე ეტაპის ბოლოსწინა მე-9 ტურმა ჩემპიონატს ორი ლიდერი მოუვლინა. ვიტელებმა ჩინებული გააზრებული თამაშით, თანაქალაქელი „დინამოელები" მესამე საფეხურზე ჩამოაქვეითეს, თავად კი, ბოლნისის „სიონთან" ერთად ჩემპიონობის რეალური შანსი აქვთ. თბილისის „დინამოს" გორში გასვლით მატჩში, მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, რათა შარშანდელი ჩემპიონობა შეინარჩუნოს, თუმცა ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „დინამოელთა" კონკურენტები თავიანთ მატჩებს ფრედ დაასრულებენ ან სულაც წააგებენ. ბოლნისელებს ურთულესი მატჩი ელით დედაქალაქში „თბილისთან", რომელიც უეფას თასის საგზურისთვის იბრძვის. „ვიტ ჯორჯია" „ლოკომოტივს" მასპინძლობს. ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების და აჟიოტაჟის ფონზე კლუბებს შორის რაიმე გარიგება გამორიცხულია. ბოლო ტურში უშეღავათო ბრძოლების მოწმე იქნება გულშემატკივარი. დასათმობი მოწინავე სამეულს არაფერი აქვს. სასწორზე კლუბების პრესტიჟი და ჩემპიონის ტიტული დევს. შეიძლება ისეც მოხდეს, წლევანდელი პირველი გუნდის გამოსავლენად „ოქროს" მატჩის ჩატარება გახდეს საჭირო. ეს იმ შემთხვევაში, თუ პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები თანაბარ ქულებს დააგროვებენ. „სიონის" და „ვიტ ჯორჯიას" დამარცხებისა და გორში „დინამოს" მიერ ერთი ქულის მოპოვების შემთხვევაში, თანაბარ ქულებს სამი გუნდი დააგროვებს, რის შემდეგაც ამოქმედდება დებულების ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ:

**— მოგებათა მეტ რაოდენობას, უშუალოდ ერთმანეთში შეხვედრების შედეგებს (ჯერ ქულათა რაოდენობას, შემდეგ ბურთების უკეთეს სხვაობას, ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში მოწინააღმდეგის მოედანზე მეტი გოლი აქვს გატანილი), ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა, გატანილი გოლების მეტი რაოდენობა, ფეირ-ფლეის შედეგები, თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.**

ვითარება ჩახლართული და სპორტული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. დაძაბულობა არ მოაკლდება არც ერთ მატჩს — შეხვედრებს, რომლებმაც ეროვნული პირველობის ჩემპიონი უნდა გამოავლინოს. უპირატესობა არც მასპინძელს აქვს, არც სტუმარს. გამარჯვებულისა თუ დამარცხებულის გამოცნობა უმადური საქმეა. ყველაფერს ბოლო ტურის შემდეგ მოეფინება ნათელი.

ქვედა ექვსეულის მატჩები თითქმის ფორმალური ხასიათისაა, თუმცა თავისებური ინტრიგა მათაც ახლავთ, ნებისმიერ შეხვედრაში გამარჯვება პრესტიჟის საქმეა.

XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
X ტური
უმაღლესი ლიგა. ანონსი

**I-VI ადგილებისთვის**
**X ტური. 22 მაისი**

დილა — დინამო (თბ)
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
თბილისი — სიონი

**VII-XII ადგილებისთვის**
**X ტური. 22 მაისი**

მერცხალი — მცხეთა-ურიონი
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913
ტორპედო — სპარტაკი

**I-VI ადგილებისთვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 13-5 | 38 |
| ვიტ-ჯორჯია | 9 | 5 | 2 | 2 | 9-3 | 38 |
| დინამო(თბ) | 9 | 3 | 3 | 3 | 13-9 | 37 |
| თბილისი | 9 | 3 | 5 | 1 | 12-7 | 32 |
| ლოკომოტივი | 9 | 1 | 5 | 3 | 6-10 | 25 |
| დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 1-20 | 19 |

**VII-XII ადგილებისთვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 16-8 | 34 |
| კოლხეთი1913 | 9 | 5 | 3 | 1 | 11-5 | 30 |
| მცხ-ურ | 9 | 5 | 3 | 1 | 8-3 | 28 |
| დინამო (ბთ) | 9 | 3 | 0 | 6 | 5-11 | 25 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-8 | 21 |
| მერცხალი | 9 | 0 | 1 | 8 | 2-21 | 6 |

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
XXIX ტური
პირველი ლიგა. ანონსი

**გადადებული მატჩი**

ქობულეთი — დინამო2 (თბ) 1-1

**დღეს**

ცხინვალი — ლოკომოტივი
ივერია — ქობულეთი
ლუკა — თსუ
გურია — ამერი
დინამო2 — ჩიხურა
ვიტ ჯორჯია (მცხ) — რუსთავი
ოლიმპი — მილანი
სამგურალი — მეტალურგი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 28 | 17 | 4 | 7 | 51-27 | 55 |
| სამგურალი | 28 | 15 | 7 | 6 | 34-18 | 52 |
| დინამო2(თბ) | 28 | 15 | 5 | 8 | 66-31 | 50 |
| რუსთავი | 28 | 15 | 3 | 10 | 44-29 | 48 |
| მილანი | 28 | 14 | 6 | 8 | 36-25 | 48 |
| ოლიმპი | 28 | 13 | 7 | 8 | 36-31 | 46 |
| ჩიხურა | 28 | 13 | 5 | 10 | 35-26 | 44 |
| ცხინვალი | 28 | 12 | 7 | 9 | 41-23 | 43 |
| გურია | 28 | 12 | 6 | 10 | 35-34 | 42 |
| ვიტჯორჯ(მცხ) | 28 | 11 | 8 | 9 | 29-20 | 41 |
| თსუ | 28 | 11 | 8 | 9 | 45-28 | 41 |
| ამერი | 28 | 11 | 7 | 10 | 31-23 | 40 |
| ივერია | 28 | 11 | 6 | 11 | 28-36 | 39 |
| ლოკომ (ს) | 28 | 6 | 1 | 21 | 20-71 | 19 |
| ლუკა | 28 | 5 | 1 | 22 | 28-72 | 16 |
| მეტალურგი | 28 | 2 | 1 | 25 | 18-83 | 7 |

# ბავშვთა ფეხბურთი

## რჩეულნი ნაძალადევსა და სამგორში...

„ევროპის დღისადმი" მიძღვნილი ბავშვთა საფეხბურთო ტურნირი, რომელიც მე-5-6 და მე-7-8 კლასებს შორის ჩატარდა, „ლელომ" ფართოდ გააშუქა. დღეს გაგაცნობთ ნაძალადევისა და სამგორის რაიონების სკოლებს შორის გამორჩეულ გუნდებს. ესენია მე-5-6 კლასებს შორის გამარჯვებული 143-ე სკოლა (დირექტორი დათო ლაგვილავა, მასწავლებელი ზაურ კეფაშვილი), ამავე ასაკში მეორე ადგილზე გასული 154-ე სკოლა (დირექტორი გოჩა გურგენიძე, მასწავლებელი ზაზა თაბაგარი); მე-7-8 კლასელთა შეჯიბრებაში უძლიერესი იყო 48-ე სკოლა (დირექტორი სვეტლანა ჯერვალიძე, მასწავლებელი ნუნუ ნარეკლიშვილი), მეორე ადგილი წილად ხვდათ 33-ე სკოლელებს (დირექტორი ელდარ ბიგინაშვილი, მასწავლებელი მარინა მელაძე).




სამგორის რაიონში ორივე ასაკში პირველობა 117-ე სკოლებმა მოიპოვეს (დირექტორი რამაზ სუპატაშვილი, მასწავლებელი ლევან ნარიმანიძე).

**ფოტოები რობერტ ბაგოიანისა**







## გურამ გომელაური - 70



ქუთაისის „ტორპედოს" 60-იანი წლების ერთ-ერთ გამორჩეულ ვეტერან ფეხბურთელს გურამ გომელაურს 70 წელი შეუსრულდებოდა. გურამ გომელაურმა საფეხბურთო კარიერა 35-ე საფეხბურთო სკოლაში დაიწყო, მერე თამაშობდა „ნორჩ დინამოელში", თბილისის ტტუ-ში, ქუთაისის „ლოკომოტივში" და „ტორპედოში", თელავის „კახეთში". თანაკლუბელები, კოლეგები და მეგობრები გამორჩეული ხელწერის მქონე ფეხბურთელს, დრიბლიორს, გამთამაშებელს და გოლეადორს, შესანიშნავ პიროვნებას ხვალ კიდევ ერთხელ გაიხსენებენ.

**თუ სხვაგან ვერ მოახერხეთ „ლელოს" შეძენა, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ მოიკითხოთ გამომცემლობა „სამშობლოს" (კოსტავას ქ.14) წინ, გამავრცელებელთან.**

# საფეხბურთო პროგრამა — ქართული ფეხბურთის მემატიანე

1937 წლის 24 ივლისს თბილისის „დინამომ" პირველად ითამაშა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი თბილისში, მაშინდელ ლავრენტი ბერიას სახელობის სტადიონზე ბასკონიის (ესპანეთი) ნაკრებთან. დღეისათვის ამ მატჩისადმი მიძღვნილი პროგრამა იშვიათობას წარმოადგენს. ეს პროგრამა 1978 წელს მისახსოვრა ამ მატჩის თვითმხილველმა და ფეხბურთის დიდმა ქომაგმა, ღირსეულმა პიროვნებამ სოლომონ ალხაზიშვილმა. პროგრამა მთლიანად რუსულ ენაზეა შედგენილი.

მეამაყება, რომ ჩემს საოჯახო არქივში ამ პროგრამას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ფოტოზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, პროგრამის გარეკანის ასლია აღბეჭდილი.

მატჩის ირგვლივ ბევრი დაწერილა, ამიტომ თავს უფლებას მივცემ გაგაცნოთ, პროგრამაში დაბეჭდილი ზოგიერთი ინფორმაცია. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სტუმართა გუნდის მოთამაშეთა დაწვრილებით დახასიათებას. აი ისინიც:

**გოლკიპერი – გრეგორიო ბლასკო** („ატლეტიკ – ბილბაო"). 28 წლის. სიმაღლე 175 სმ. წონა 77 კგ. სპორტული სტაჟი 11 წელი, მძღოლი, ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 5 საერთაშორისო მატჩი იუგოსლავიის, შვეიცარიის, პორტუგალიის და ირლანდიის გუნდებთან.

**მარჯვენა ბეკი – პედრო არესუ** (საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა"). 26 წლის. სიმაღლე 171 სმ. წონა 73 კგ. სპორტული სტაჟი 8 წელი. მასწავლებელი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 2 საერთაშორისო მატჩში საფრანგეთის და პორტუგალიის გუნდებთან.

**მარცხენა ბეკი – სერაფინ აედო** („ბეტიზდე-სევილია"). 27 წლის, სიმაღლე 174 სმ. წონა 76 კგ. სპორტული სტაჟი 7 წელი. მკალავი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 4 საერთაშორისო მატჩში საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის და გერმანიის გუნდებთან.

**მარჯვენა ჰავბეკი – ლეონარდო სილაურენი** („ატლეტიკ – ბილბაო"). 24 წლის. სიმაღლე 175 სმ. წონა 75 კგ. სპორტული სტაჟი 7 წელი.




ყასაბი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა 5 საერთაშორისო მატჩში საფრანგეთის, შვეიცარიის და ინგლისის გუნდებთან.

**ცენტრ-ჰავბეკი – ხოსე მუგუერსა** („ატლეტიკ-ბილბაო"). 25 წლის. სიმაღლე 178 სმ. წონა 79 კგ. სპორტული სტაჟი 9 წელი. იარაღის ხელოსანი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 9 საერთაშორისო მატჩში ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, საფრანგეთის, ბრაზილიის, იტალიის და გერმანიის გუნდებთან.

**მარცხენა ჰავბეკი – რობერტო ეჩებარია** („ატლეტიკ-ბილბაო"). 29 წლის. სიმაღლე 174 სმ. წონა 73 კგ. სპორტული სტაჟი 12 წელი. იარაღის ხელოსანი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 7 საერთაშორისო მატჩში ინგლისის, ირლანდიის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის და იტალიის გუნდებთან.

**მარჯვენა გარემარბი – გილერმო გაროსტისა** („ატლეტიკ-ბილბაო"). 28 წლის. სიმაღლე 170 სმ. წონა 74 კგ. სპორტული სტაჟი 11 წელი. პროვიზორი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 18 საერთაშორისო მატჩში ინგლისის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, შვეიცარიის, ბრაზილიის და სხვა ქვეყნების გუნდებთან.

**მარჯვენა ინსაიდი – ლუის რეგეირო** („მადრიდის ფეხბურთის კლუბი"). 29 წლის. სიმაღლე 176 სმ. წონა 75 კგ. სპორტული სტაჟი 5 წელი. მექანიკოსი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 24 საერთაშორისო მატჩში საფრანგეთის, ინგლისის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბრაზილიის, იტალიის, პორტუგალიის და სხვა ქვეყნების გუნდებთან.

**ცენტრ-ფორვარდი – ისიდრო ლანგარა** („ოვიედის ფეხბურთის კლუბი"). 25 წლის. სიმაღლე 176 სმ. წონა 82 კგ. სპორტული სტაჟი 9 წელი. მექანიკოსი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 12 საერთაშორისო მატჩში საფრანგეთის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების გუნდებთან.

**მარცხენა ინსაიდი – ენრიკო ლარრინაგა** („სანტანდერის რესინგ კლუბი"). 27 წლის. სიმაღლე 172 სმ. წონა 75 კგ. სპორტული სტაჟი 9 წელი. კანტორის მოსამსახურე. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 2 საერთაშორისო მატჩში პორტუგალიის და საფრანგეთის გუნდებთან.

**მარცხენა გარემარბი – ემილიო ალონსო** („მადრიდის ფეხბურთის კლუბი"). 25 წლის. სიმაღლე 174 სმ. წონა 71 კგ. სპორტული სტაჟი 8 წელი. ესპანეთის ნაციონალური ნაკრების შემადგენლობაში გამოვიდა 2 საერთაშორისო მატჩში ავსტრიის და გერმანიის გუნდებთან.

პროგრამის გარეკანის ბოლო გვერდზე მოცემულია თბილისის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის განაცხადი მათი სათამაშო ამპლუის მითითებით: გოლკიპერი – ალექსანდრე დოროხოვი, მარჯვენა ბეკი – შოთა შავგულიძე, მარცხენა ბეკი – გიორგი ჭუმბურიძე, მარჯვენა ჰავბეკი – გრიგოლ გაგუა, ცენტრ-ჰავბეკი – მიხეილ მინაევი, მარცხენა ჰავბეკი – ვლადიმერ ჯორბენაძე, მარჯვენა გარემარბი – თენგიზ გავაშელი, მარჯვენა ინსაიდი – მიხეილ ბერძენიშვილი, ცენტრ-ფორვარდი – ბორის პაიჭაძე, მარცხენა ინსაიდი – ვლადიმერ ბერძენიშვილი, მარცხენა გარემარბი – მიხეილ ასლამაზოვი."

პროგრამაში მითითებულია გუნდებში შესაძლო ცვლილებების შესახებ. მართლაც, სტუმართა რიგებში პედრო არესუს ნაცვლად მოედანზე გამოსულა პედრო ბარხოსი. გუნდის კაპიტანს ლუის რეგეიროს, ავადმყოფობის გამო თბილისში არ უთამაშია, მის ნაცვლად კი მის ძმას პედროს უთამაშია, ხოლო გუნდის კაპიტანი გილერმო გოროსტისა გახლდათ. „დინამოში" ვლადიმერ ბერძენიშვილის ნაცვლად ლუარსაბ ლოლაძემ ითამაშა. დინამოელთა გუნდის კაპიტანი შოთა შავგულიძე გახლდათ. მატჩს სჯიდა ლენინგრადელი შჩელკოვი.

მკითხველებს შევახსენებთ, რომ მატჩი სტუმრებმა მოიგეს – 2:0.

**ზურაბ თედორაძე**
**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო ინსპექტორი**

**შენიშვნა: მასალა გადმობეჭდილია ძველი საფეხბურთო პროგრამიდან**

---

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები

# მისთვის ფეხბურთის საიდუმლოება არ არსებობს

**იოჰან კროიფი. უნიკალური ბედისაა. ასეთი მოთამაშეები ხელის თითებზეა ჩამოსათვლელი ფეხბურთის ისტორიაში. აი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი კი არ გამხდარა. სამაგიეროდ, უკუაგდო გავრცელებული შეუთანხმებელი სტერეოტიპი, რომლის თანახმადაც დიდი ფეხბურთელები დიდ მწვრთნელებად არა ხდებიან. მთელი საფეხბურთო ცხოვრება მაღალ დონეზე განვლო და ყოველ მხრივ კარგად ესმის საფეხბურთო ტაქტიკა და სტრატეგია. ბოლო წლებში ევროპის სამი „ოქროს ბურთის" მფლობელი აქტიურ სამწვრთნელო სამსახურს შეეშვა, მაგრამ ყურადღებით ადევნებს თვალყურს, რაც ევროპულ ფეხბურთში ხდება, და ბევრს ფიქრობს მის პრობლემებზე. ეს აზრები, რომლის ნაწილს გთავაზობთ, იოჰან კროიფმა გაუზიარა ევროპის სპორტული გამომცემლობის ასოციაციაში შემავალი გამომცემლობების მკითხველებს.**

### დოსიე

*დაბადა 1947 წლის 25 აპრილს ამსტერდამში. თავდამსხმელი. გამოდიოდა გუნდებში ჰოლანდიის „აიაქსში" (1964-1974, 1981-1983), ესპანეთის „ბარსელონაში" (1974-1978), აშშ-ს „ლოს-ანჯელეს აცტეკში" (1979), აშშ-ს „ვაშინგტონ დიპლომატსში" (1980-1981), ჰოლანდიის „ფეიენოორდში" (1983-1984), ესპანეთის „ლევანტეში" (1981), ჰოლანდიის ჩემპიონია 1966, 1967, 1968, 1972, 1973, 1982, 1984 წ.წ. ესპანეთის ჩემპიონი – 1974, ჰოლანდიის თასის მფლობელი – 1967, 1970, 1971, 1972, 1983 წ.წ. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი – 1971, 1972, 1973 წ.წ. საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი – 1972. ჰოლანდიის ნაკრებში ითამაშა 48 მატჩი, გაიტანა 33 გოლი. მსოფლიო ჩემპიონატ-1974-ის ფინალისტია. სულ კარიერაში 520 მატჩი ითამაშა, გაიტანა 293 გოლი, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის „ოქროს ბურთის" სამგზის ლაურეატი. ხუთჯერ აღიარეს ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელად, ორჯერ გახდა ჰოლანდიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი. 1998 წელს XX საუკუნის საუკეთესო ჰოლანდიელ ფეხბურთელად დაასახელეს.*

*სამწვრთნელო კარიერაში „ბარსელონასთან" ერთად მოიგო ესპანეთის ჩემპიონობა 1991, 1992, 1993, 1994 წ.წ. ესპანეთის თასი – 1990, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი – 1992, ევროპის თასების მფლობელთა თასი – 1989, ევროპის სუპერთასი – 1993; „აიაქსთან" ერთად – ჰოლანდიის თასი 1986, 1987 წ.წ. თასების მფლობელთა თასი – 1987, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს 1987 წელს „ვორლდ სოკერის" ვერსიით.*

### საით გაქრა ტექნიკა?

მიუხედავად იმისა, რომ ნიდერლანდების ნაკრებმა გზა გაიკვლია ევრო-2004-ის ფინალისტთა შორის, იოჰან კროიფი სერიოზულადაა შეშფოთებული ჰოლანდიურ ფეხბურთზე, და საერთოდ, ფეხბურთის მომავლის გამო.

ყველა დროის საუკეთესო ჰოლანდიელი ფეხბურთელი, როცა თანამედროვე მოთამაშეებზე ლაპარაკობს, ამტკიცებს, რომ მათ სათანადო ოსტატობა არა ჰყოფნით. მისი განმარტებით, ის, რაც მინდორზე ხდება, გამოიყურება როგორც „სათამაშო ავტომატის ფეხბურთი". როგორ უნდა შეიცვალოს სიტუაცია უკეთესობისაკენ? კროიფის აზრით, ეს შესაძლოა გაკეთდეს იმ პირობით, როცა ფეხბურთში წამყვან პოსტებზე — მწვრთნელი იქნება ეს, თუ კომერციული ან ადმინისტრაციული მსახური, მოვლენ ისინი, ვინც საკუთარი გამოცდილებით იცის, რა არის ფეხბურთი.



● ***1996 წელს წახვედით სამწვრთნელო სამუშაოდან. თქვენი აზრით, მას შემდეგ ძალიან შეიცვალა ფეხბურთი, საერთოდ?***

— რა თქმა უნდა, შეიცვალა — საათი ხომ არ გაჩერებულა, მაგრამ მიმძიმს იმის ყურება, რომ მსოფლიოში ნომერი პირველი სპორტის სახეობა, დღეს სულაც არ არის პირველი განვითარების ტემპების მხრივ. სხვა სახეობებს უფრო მეტად ეტყობა სწრაფი პროგრესი. განსაკუთრებით აღსანიშნავი იმას, რომ ხალხს, ვისზედაც დამოკიდებულია ფეხბურთის განვითარება, არაფერი ესაქმება ცალკეულ პიროვნებასთან. მათ მხოლოდ გუნდი აინტერესებთ, როგორც რაღაც ერთიან მთლიანობაში, შედეგის მომცემი. სხვათა შორის, გუნდი ხომ თერთმეტი პიროვნებისგან შედგება და თითოეული მათგანი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს.

ხშირად დავფიქრებულვარ: მთლიანად კი ვიყენებთ ფეხბურთელის პოტენციურ შესაძლებლობას? რა თქმა უნდა, ფეხბურთი რადიკალურადაა დღეს შეცვლილი ფიზიკური მომზადების მხრივ. მოთამაშეებმა აშკარად მოუმატეს — ალბათ, იმიტომ, რომ მწვრთნელებს ცოდნა მოემატათ. ამაში არაფერი ცუდი, რასაკვირველია, არ არის, აი, ბურთის ფლობის ტექნიკა აშკარად ჩამორჩება ფიზიკური კონდიციებისგან. ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია ნახოთ ნებისმიერი მატჩი. ისეთი შეგრძნება გექმნება, რომ აგდებულად ეკიდებიან იმათ, ვისაც პრაქტიკულად გამოცდილების გაზიარება შეუძლია. ასე ხდება ყველა დონეზე — სამოყვარულო ფეხბურთიდან უმაღლეს დივიზიონამდე.

მწვრთნელთა კურსებზე შემსვლელთაგან კარგ საერთო განვითარების დონეს ითხოვენ. მაგრამ ბევრი ფეხბურთელი ხომ ვერ უპასუხებს ამ კრიტერიებს, იმიტომ, რომ თექვსმეტი წლიდან პროფესიონალები ხდებიან, სათამაშო კარიერის დამთავრების შემდეგ კი ძალიან ძნელია აიძულო შენი თავი წიგნებს რომ მიუჯდე და თავიდან დაიწყო სწავლა. ამასობაში ამ მოთამაშეებს დიდი გამოცდილება აქვთ და მათ ფეხბურთის შესახებ ყველაფერი იციან, რისი ცოდნაც შეიძლება. ამასთან, ბევრი მათგანი იკარგება ფეხბურთისათვის, რომლისთვისაც ბევრის მიცემა შეეძლოთ. ჩემი აზრით, ეს უაზრობაა.

● ***მაშ, როგორღა მოვიქცეთ?***

— სათამაშო გამოცდილება ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად უნდა იქცეს მწვრთნელთა კურსებზე მიღებისას. ზოგიერთი ყოფილი ფეხბურთელი, მაღალ დონეზე რომ გამოდიოდნენ, მწვრთნელობას სწავლობენ, რამდენადაც სათამაშო კარიერის დამთავრების შემდეგ, სურთ თავად იმუშაონ პროფესიულ გუნდებთან. მაგრამ რაში სჭირდება, მაგალითად, მედიცინის მეცნიერების შესწავლა? ბოლოს და ბოლოს, „აიაქსის", „ბარსელონის", ან „არსენალის" მწვრთნელებს ხელქვეით ჰყავთ მედიცინის მუშაკთა მთელი შტატი.

მაგრამ ტრადიციისამებრ, მწვრთნელთა სკოლებში სწავლება კვლავინდებურად ნამეტნავად თეორიული ხასიათისაა. და ეს ადვილად შესამჩნევია... ბიჭები რომ ვიყავით, გაკვეთილების შემდეგ უფრო მეტ დროს ქუჩაში ვატარებდით ფეხბურთის თამაშით, ვიდრე ახლანდელი მომავალი თაობა. დღეს ბავშვები თუ ფეხბურთს თამაშობენ, მარტოოდენ კლუბებში. ესე იგი, კლუბებში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკის ბაზის შესაქმნელად. ჩვენს დღეებში იშვიათად შეხვდები მაგალითად, ნორჩ ფეხბურთელს ორივე ფეხს რომ ერთნაირად ფლობდეს. ბავშვებთან რაც შეიძლება მეტი მუშაობაა საჭირო, ძირითადი საფეხბურთო ჩვევების: გადაცემების, თავით თამაშის, დარტყმის გამოსამუშავებლად. ეს რომ მალე არ გაკეთდეს, დადგება დრო, როცა აღარავის მოუნდება ფეხბურთის ყურება.

### ბურთმა დაიმორჩილა მოთამაშე

● ***რაც თქვენ ეს-ესაა თქვით, ესაა მიზეზი, რომლის მიხედვით უმაღლესი კლასის ფეხბურთიც ჰკარგავს სანახაობრიობას?***

— სწორედ ესაა, ფეხბურთს მუდმივად ვუყურებ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ იშვიათად მაინტერესებს იგი. რასაც ვუყურებ, ძალიან ხშირად მაგონებს სათამაშო ავტომატის ფეხბურთს. ბურთი ხან იქით, ხან აქეთ დაფრინავს, ხოლო გუნდებს მისი დაუფლება არ ძალუძთ. დღეს თითებზე ჩამოსათვლელია მოთამაშეები, ნამდვილად რომ შეუძლიათ ბურთის გაკონტროლება. ხშირად პირიქით ხდება, ბურთი თვითონ იმორჩილებს მოთამაშეს. მწვრთნელებს მართებთ სერიოზულად იზრუნონ ამ პრობლემის გადასაჭრელად.

● ***არიან კი ევროპელი ფეხბურთელები, რომელთა თამაში სიამოვნებას განიჭებთ?***

— რა თქმა უნდა, ჩვენს დროშიც დარჩნენ საკმაოდ ნიჭიერი მოთამაშეები, რომელთაც შეუძლიათ სიამოვნება განაცდევინონ მაყურებელს. ასეთებია, მაგალითად, ზიდანი ან რაული. ეს ფეხბურთელები მაღალი კლასისანი არიან. მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ თავიანთ ოსტატობას ისინი უმთავრესად ბუნებრივ ნიჭსა და თავდაუზოგავ ვარჯიშს უნდა უმადლოდნენ. აქ მწვრთნელთან ცოტა რამაა დაკავშირებული. მე კი იმ ფეხბურთელთა ბედი მაშფოთებს, რომელთა ოსტატობა ზეგარდმო კი არა, საწვრთნელი პროცესის მსვლელობაზეა დამოკიდებული.

და მაინც, საბედნიეროდ, ბუნებისაგან ნიჭით მომადლებული მოთამაშეები ყოველთვის იქნებიან.

### გემოვნების საქმეა

● ***თქვენი აზრით, სად თამაშობენ უფრო მიმზიდველ ფეხბურთს?***

— გულშემატკივრობის თვალსაზრისით, ალბათ, იტალიაში. ინგლისში ინგლისური ფეხბურთი უყვარს, გერმანიაში — გერმანული, ჰოლანდიელებს გვახარებს ჩვენი. ჰოლანდიელები, რა თქმა უნდა, გამარჯვებისკენ ვისწრაფვით, მაგრამ ამასთან, გვინდა, რომ ეს ლამაზი თამაშით იქნეს მიღწეული. იტალიელებისათვის კი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ რამეს — გამარჯვებას ნებისმიერ ფასად...

როცა მწვრთნელი ვიყავი, ყოველთვის ვცდილობდი მემუშავა ისე, რომ ჩემი გუნდის თამაშის არ შემრცხვენოდა, ანდა, მისი საქმესთან დამოკიდებულებისა. მაგრამ ეს ხელს არ მიშლიდა სხვების კულტურულ ტრადიციებს პატივისცემით რომ მოვპყრობოდი. თუმცა, ვაღიარებ, უფრო მსიამოვნებს ესპანური, ინგლისური ან ჰოლანდიური ფეხბურთის ყურება. გერმანული და იტალიური ნაკლებად მომწონს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი სულაც არ არის ცუდი.

● ***ესე იგი, ინგლისური ფეხბურთისკენ უფრო მიგიწევთ გული?***

— ახლა ინგლისში როგორღაც აირია ყველაფერი. იქ მეტი უცხოელი ვარსკვლავია, ვიდრე თავიანთი. რა თქმა უნდა, ტიპიური, პატიოსანი, ღია, ვაჟკაცური თამაშია!..

სხვათა შორის, თუ უფრო ფართო პლანით განვიხილავთ, აღვნიშნავდი, რომ მთელი რიგი ევროპული ქვეყნების ნაკრებების თამაშის დონემ დაიწია. და ეს სერიოზული პრობლემაა: ნაციონალური გუნდები ხომ ეროვნულ სიამაყეს უნდა გამოხატავდნენ. განსაკუთრებით ახლანდელ, გაერთიანებულ ევროპაში. ჩემი შეხედულებით, უეფამ და ფიფამ ღირს დაივიწყონ პოლიტიკური შეხედულებები და კლუბებს მოელაპარაკონ, რომ თითოეულში უნდა იყოს არანაკლებ ექვსი ფეხბურთელისა, რომელთაც პოტენციურად აქვთ უფლება შევიდნენ იმ ქვეყნის ნაკრებში, რომელსაც კლუბი წარმოადგენს. ეს მათ საშუალებას მისცემს გადაარჩინონ ეროვნული საფეხბურთო საკუთრება და ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ფეხბურთელების ზრდას. ახლა არასწორი გზით მივდივართ. ნაკრებებს მეტი წონა უნდა ჰქონდეს, და არა პირიქით. კი, პოლიტიკოსებს სურთ, რომ ევროპა შეერთებული შტატებივით იყოს. მაგრამ ჩვენი ამოცანაა ევროპულ ფეხბურთს შევუნარჩუნოთ ყველა მისი მრავალსახეობა. სხვაგვარად, იქამდე მივალთ, რომ გვეყოლება ერთი გუნდი — რაღაცა ევროპის ნაკრები.

*მოამზადა უშანგ ჭიჭინაძემ*

*(დასასრული იქნება)*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ჟაკ სანტინის „ოქროს ფონდი"

**ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, თქმა არ უნდა, საფრანგეთის ნაკრებია, რომელიც 100 წლის იუბილეს ზეიმობს. ცხადია, ფრანგი ფეხბურთელები შეეცდებიან, ეს მნიშვნელოვანი თარიღი ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებით იზეიმონ.**

### სავიზიტო ბარათი

**საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია ფიფას წევრია 1904 წლიდან, ხოლო უეფასი – 1954 წლიდან.**

**საფრანგეთის ნაკრები 1998 წელს გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ორჯერ – 1984 და 2000 წლებში მოიგო ევროპის პირველობები, ამდენჯერვე გახდა მსოფლიო ჩემპიონატების მესამე პრიზიორი (1958, 1986 წ.), იასპარეზა ევროპის 12 ჩემპიონატში, ჩაატარა 101 მატჩი, რომელთაგან 57 მოიგო, 26 ფრედ დაასრულა და 18 წააგო. ბურთების შეფარდება – 204-99.**

### პირველი მატჩი

1904 წლის გაზაფხული იდგა. ბელგიელმა ფეხბურთელებმა მეზობელ ფრანგებს შეუთვალეს: თუ მაგარი ბიჭები ხართ, ფეხბურთში გაგვეჯიბრეთო. მართლაც, შეიკრიბა იმ დროისათვის 12 ძლიერი ფრანგი ფეხბურთელი, რომლებიც მატარებლით გაემგზავრნენ და 10-საათიანი მგზავრობის შემდეგ ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ჩავიდნენ.

მატჩის დაწყებამდე ფრანგებს პრობლემა შეექმნათ: ისინი თორმეტნი ეწვივნენ ბელგიელებს, თუმცა მაშინდელი წესებით, ფეხბურთელის შეცვლა არ შეიძლებოდა. გამოდის, რომ ერთი მოთამაშე ფრანგებს ზედმეტი ჰყავდათ. საკითხი ასე გადაჭრეს: შემადგენლობაში ორ შედარებით სუსტ მოთამაშეს – ჟაკ სავისა და ემილ ფონ ტენს შორის კენჭი ყარეს, რის შედეგად მოედანზე გამოსვლის ბედნიერება სავის ხვდა წილად. 30 აპრილის მატჩი ფრედ 3-3 დასრულდა, ხოლო ლუი მენიე გახდა პირველი ფრანგი ფეხბურთელი, რომელმაც სანაკრებო დონეზე პირველი გოლი გაიტანა.

მას შემდეგ 100 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საფრანგეთის ნაკ-



რებმა სულ 644 ოფიციალური მატჩი ჩაატარა.

სტატისტიკა კი ასეთია: 298 გამარჯვება, 127 ფრე და 218 მარცხი. ფრანგმა ფეხბურთელებმა 1163-ჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი, თავად კი 1032 ბურთი მიიღეს.

დღეს საფრანგეთის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ბევრი სპეციალისტი წარმატებას უწინასწარმეტყველებს და ეს არც არის გასაკვირი: საფრანგეთის ნაკრებში ხომ მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები თამაშობენ... მაინც ვის წაიყვანს მწვრთნელი ჟაკ სანტინი პორტუგალიაში? ეს ალბათ, ივნისის პირველ რიცხვებში გაირკვევა. დღეს კი შესაძლო კანდიდატებზე ვისაუბრებთ.

### ბარტეზი შეუცვლელია

სრულიად გარკვეულია მდგომარეობა მეკარეებთან დაკავშირებით. რაღა თქმა უნდა, პორტუგალიაში ფრანგთა მთავარი გოლკიპერი, „მარსელში" მოთამაშე ფაბიენ ბარტეზი იქნება. ის გამოცდილი და საიმედოა. სათადარიგო გოლკიპერია გრიგორი კუპე „ლიონიდან". მესამე მეკარედ მიქაელ ლანდროს მოიაზრებენ, რომელიც „ნანტის" ღირსებას იცავს.

### დესაი და დანარჩენები

დაცვის ხაზზე ჟაკ სანტინის 7-8 ვარიანტი გააჩნია. მათგან ყველაზე სტაბილურად დესაი – ტიურამის დუეტს მიიჩნევს. ხანდახან მწვრთნელი დესაისთან ერთად სილვესტრსაც ათამაშებს ხოლმე. მარცხნივ საიმედოდ თამაშობს ბიქსენტ ლიზარაზუ, ხოლო მარჯვნივ – ვილი სანიოლი. კანდიდატთა სიაშია აგრეთვე „ჩელსიში" მოთამაშე ვილიამ გალასი.

### ზიდანმა რომ ვერ ითამაშოს?

სანტინის განსაკუთრებით ფართო არჩევანი აქვს ნახევარდაცვის ხაზზე, რომელიც ფრანგული ფეხბურთისა და ქვეყნის ეროვნული ნაკრების უძლიერესად ითვლება.

დღესდღეობით, ამ რგოლში ფრანგებს ოთხი „მონსტრი" ჰყავთ: სუპერვარსკვლავი ზინედინ ზიდანი, პატრიკ ვიეირა, კლოდ მაკელელე, რობერ პირესი. ვარაუდით უნდა ითქვას, რომ მთელი სიმძიმე ზიდანს დააწვება, ის კი ბოლო პერიოდში საგრძნობლად



გადაიღალა. აქედან გამომდინარე, სანტინიმ უნდა მოამზადოს ისეთი ვარიანტი, ზიდანის გარეშე რომ იქნება. მწვრთნელის განკარგულებაშია: ოლივიე დაკური („რომა"), მიკუ („ვერდერი"), ჟიული („მონაკო"), ბენუა პედრეტი („სოშო"), ჟერომ როტენი („მონაკო") და ვილტორი („არსენალი").

### ბეშინოდეთ ტიერი ანრის...

თუკი ადრე ფრანგებს ძლიერი ნახევარდაცვის ფონზე შედარებით სუსტი თავდამსხმელები ჰყავდათ, დღეს სიტუაცია აშკარად უკეთესობისკენაა შეცვლილი. სანტინის ხელმძღვანელობით, საფრანგეთის ნაკრებმა 21 მატჩში 57 გოლი გაიტანა, რაც საშუალოდ თითოეულ თამაშზე 2,71 გოლს შეადგენს.

საფრანგეთის გუნდს ევროპის ჩემპიონატზე ეყოლება ინგლისში საუკეთესოდ აღიარებული ტიერი ანრი, რომელსაც ნებისმიერ სიტუაციაში ძალუძს გოლის გატანა. ანრის პორტუგალიაში მხარს აუბამს დევიდ ტრეზეგე („იუვენტუსი"). ამ დუეტის ანგარიშზე მოდის 21 გოლი ზემოთ თქმული 57 ბურთიდან. აქედან ანრიმ 13-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი, და 9 საგოლე გადაცემა გააკეთა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს 13 გოლი ანრიმ 18 ჩატარებულ მატჩში გაიტანა. ხოლო რაც შეეხება ტრეზეგეს, მან სანტინის ხელმძღვანელობით 9 შეხვედრაში ია-



სპარეზა და 8-ჯერ გამოიჩინა თავი. დაგვეთანხმებით, კარგი შედეგია.

ნაკრებში მოხვედრის კანდიდატები არიან, აგრეთვე, სტივ მარლე („მარსელი"), სისე („ოსერი"), სიდნეი გოვუ („ლიონი"), ლუინდულა („ლიონი"), ლუი საა („მანჩესტერ იუნაიტედი"). არ არის გამორიცხული, სანტინიმ პორტუგალიაში წაიყვანოს ნიკოლა ანელკაც, რომელმაც ბოლო დროს აშკარად მოუმატა თამაშს „მანჩესტერ სიტის" შემადგენლობაში. ანელკას, როგორც ცნობილია, ადრე კონფლიქტური დამოკიდებულება ჰქონდა მწვრთნელთან, რის გამოც, ამას წინათ ბოდიშიც კი მოუხადა, თუმცა, შერიგების პროცესს ყველა არ მიიჩნევს დასრულებულად. აი, იმ ფეხბურთელთა „ოქროს ფონდი", რომლებიც ჟაკ სანტინის ეყოლება ევროპის ჩემპიონატზე. ფრანგი გულშემატკივრები იმედოვნებენ, რომ მათი ნაკრები აღარ გაიმეორებს იმ კრახს, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე რომ განიცადა...

### ოქროს მედლის მაძიებელი

და ბოლოს, მწვრთნელის შესახებ, – ჟაკ სანტინის ახლახან შეუსრულდა 52 წელი. მისი ხელმძღვანელობით „ლიონმა" 2001 წელს მოიგო საფრანგეთის ლიგის თასი, ერთი წლის შემდეგ კი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე „ჩავარდნამ" საფრანგეთის ნაკრების მაშინდელი მწვრთნელი როჟე ლემერი შეიწირა და ის სანტინიმ შეცვალა. მას შემდეგ საფრანგეთის ნაკრებმა 21 ჩატარებული მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო 2003 წლის თებერვალში ჩეხეთის ნაკრებთან. მოგებით კი გუნდმა 18 მატჩი მოიგო.

2003 წლის 29 მარტს მალტის ნაკრებთან წარმატებით (6-0) დაიწყო საფრანგეთის ნაკრების გამარჯვებათა 14-მატჩიანი უნიკალური სერია, რომელიც ერთი წლის შემდეგ ჰოლანდიის ნაკრებმა შეაჩერა (0-0).

ჟაკი წარმოშობით იტალიელია. ბაბუამისმა გასული საუკუნის 20-იან წლებში საცხოვრებლად ჯერ ამერიკას მიაშურა, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო და ოჯახით ისევ ევროპაში დაბრუნდა.

„როცა ნბა-ს მატჩებს ვუცქერი, ვფიქრობ-ხოლმე: რა იქნებოდა ბაბუაჩემი ევროპაში რომ არ დაბრუნებულიყო? ალბათ, ნბა-ს ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი ვიქნებოდი," – ხშირად ხუმრობს ჟაკ სანტინი.

ამჟამად მას ერთი მიზანი ამოძრავებს, – საფრანგეთის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედლები მოიპოვოს. გუნდის საბოლოო შემადგენლობას სანტინი 29 მაისს დაასახელებს.

## ტრაპატონიმ დაასახელა

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ დაასახელა იმ ფეხბურთელთა სია, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებენ. **მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი"), ფრანჩესკო ტოლდო („ინტერი"), ანჯელო პერუცი („ლაციო"). **მცველები:** კრისტიან პანუჩი („რომა"), ფაბიო კანავარო („ინტერი"), ალესანდრო ნესტა („მილანი"), ჯანლუკა ძამბროტა („იუვენტუსი"), მასიმო ოდო („ლაციო"), ჯუზეპე ფავალი („ლაციო"), მატეო ფერარი („პარმა"), მარკო მატერაცი („ინტერი"). **ნახევარმცველები:** სტეფანო ფიორე („ლაციო"), მაურო კამორანეზი („იუვენტუსი"), სიმონე პეროტა („კიევო"), კრისტიანო ძანეტი („ინტერი"), ჯენარო გატუზო („მილანი"), ანდრეა პირლო („მილანი"). **თავდამსხმელები:** ფრანჩესკო ტოტი („რომა"), კრისტიან ვიერი („ინტერი"), ალესანდრო დელ პიერო („იუვენტუსი"), ბერნარდო კორადი („ლაციო"), მარკო დი ვაიო („იუვენტუსი"), ანტონიო კასანო („რომა").

## სკოლარის გუნდიც მზადაა

პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ საბოლოოდ შეარჩია ის შემადგენლობა, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. **მეკარეები:** კიმ სილვა („ბრაგა"), ხოსე მორეირუ („ბენფიკა"), რიკარდუ სოარიშუ („სპორტინგი"). **მცველები:** ფერნანდუ კოუტუ („ლაციო"), ჟორჟი ანდრადი („დეპორტივო"), მიგელ მონტეირო („ბენფიკა"), ნუნუ ვალენტი („პორტო"), პაულ ფერეირუ („პორტუ"), რიკარდუ კარვალიუ („პორტუ"), ბეტუ სევერუ („სპორტინგი"), რუი ჟორჟუ („სპორტინგი"). **ნახევარმცველები:** დეკუ სოუზა („პორტუ"), არმანდუ პეტი („ბენფიკა"), ფრანსიშკუ კოშტინია („პორტუ"), მანიშე რებეირუ („პორტუ"), რუი კოშტა („მილანი"), ტიაგო მენდიში („ბენფიკა"). **თავდამსხმელები:** კრისტიანუ რონალდუ („მანჩესტერ იუნაიტედი"), ელდერ პოშტიგა („ტოტენჰემი"), ლუიშ ფიგუ („რეალი"), ნუნუ გომეში („ბენფიკა"), სიმონ საბროზა („ბენფიკა"), პედრუ პაულეტა (პსჟ).

## „ვალენსიამ" უეფას თასი დაისაკუთრა

**„ვალენსია" უეფას თასის ფინალურ მატჩზე უკვე ესპანეთის ჩემპიონის რანგში, საკმაოდ საზეიმო ხასიათზე ჩავიდა საფრანგეთის „მარსელთან" სათამაშოდ. სპეციალისტები უპირატესობას, რაღა თქმა უნდა, ესპანურ კლუბს ანიჭებდნენ. „ვალენსიას" ფეხბურთელებსაც, საერთოდ, პრიმერადივიზიონის ოქროს მედლებით აევსოთ უეფას თასი.**

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. შედარებით ფრანგები აქტიურობდნენ, რომლებმაც ერთი-ორჯერ სახიფათო მომენტი შექმნეს „ვალენსიას" კართან... ტაიმის მიწურულს „მარსელი" თავისივე გოლკიპერმა ფაბიენ ბარტეზმა დალუპა. მან პირისპირ გასულ ესპანელ ფორვარდს ფეხებში გამეტებით დაარტყა. მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ გოლკიპერს წითელი ბარათი უჩვენა და თერთმეტმეტრიანიც დანიშნა, რომელიც ვინსენტემ ზუსტად გამოიყენა.



აშკარა იყო, მეორე ტაიმში „მარსელს" გაუჭირდებოდა გოლის გატანა, და მაინც, ფრანგები მონდომებით თამაშობდნენ. 58-ე წუთზე კი „ვალენსიამ" მეორე გოლი გაიტანა. „მარსელის" მცველთა უყურადღებობით კარგად ისარგებლა მისტამ.

არც ამის შემდეგ შეუწყვეტია „მარსელს" ბრძოლა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა დროგბა, რომელმაც რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყა ესპანელთა კარის მიმართულებით და კარგად დაუხვდა ბურთს ესპანური გუნდის მეკარე. მატჩის მიწურულს „მარსელი" ბედს შეურიგდა: ფრანგებმა ვერ შეძლეს ბარტეზის გაფუჭებული საქმის გამოსწორება, რადგან „ვალენსია" მოწოდების სიმაღლეზე იდგა და ორბურთიანი უპირატესობა კოლინას საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნა.

გუშინწინ ღამით მთელი ვალენსია ზეიმობდა საყვარელი გუნდის მიერ უეფას თასის მოპოვებას.

**ვალენსია:** კანისარესი, კურო ტორესი, აიალა, მარჩენა, (პელეგრინო, 86), კარბონი, რუფეტე (ამიმარ, 64), ალბელდა, ბარახა, ვისენტე, ანგულო (სისოკო, 82), მისტა.

**მარსელი:** ბარტეზი, ფერეირა, ბეიე, ჰემდანი, მეიტე, დუშ სანტუში, ფლამინი (ბატლე, 71), ნ'დიაიე (ჩელესტინი, 84), მერიემი (გავანონი, 45), მარლე, დროგბა.

**გოლები:** 1-0 ვისენტე (45 პ), 2-0 მისტა (58).

**გაძევება:** ბარტეზი (მარსელი, 45).

**არბიტრი:** პ. კოლინა (იტალია)

## ჰიტცფელდი გააძევეს

იაშვილისა და ცქიტიშვილის „ფრაიბურგთან" მატჩი მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელისათვის – ოტმარ ჰიტცფელდისათვის უკანასკნელი იქნება. მიუნხენის დიდი ტრადიციების მქონე გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა ული ჰიონესმა მიიღო გადაწყვეტილება, წლევანდელ სეზონში წარუმატებელი ასპარეზობიდან გამომდინარე, ოტმარ ჰიტცფელდი გააძევოს. ეს უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „ბაიერნს". ბოლო ორი წლის განმავლობაში სრული კრახი განიცადა. შარშან, როგორც ცნობილია, მიუნხენური კლუბი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპსაც ვერ გასცდა, ვერც ამ სეზონში გამოიჩინა თავი. თუკი წინა წლებში „ბაიერნი" ბუნდესლიგაში იმარჯვებდა, წელს ესეც ვერ მოახერხა და ჰიტცფელდის ასეთი უნაყოფო მუშაობა „ბაიერნის" ხელმძღვანელობას „ყელში ამოუვიდა". „ფრაიბურგთან" მატჩის შემდეგ ოტმარს ახალი სამუშაოს ძებნა მოუწევს.



„მე ვურჩიე ოტმარ ჰიტცფელდს დაეტოვებინა პოსტი და ისიც დამეთანხმა, – განაცხადა ული ჰიონესმა, – ყველასათვის გასაგებია, რომ უფლება აღარ გვაქვს, მომავალ სეზონშიც ასე უსუსურად ვითამაშოთ".

ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს მომავალში „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტს. სპეციალისტები ჰიტცფელდის შემცვლელად „შტუტგარტის" ამჟამინდელ თავკაცს ფელიქს მაგათის მოიაზრებენ.

## სად წავა დეშამი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალისტს, ფრანგული საფეხბურთო კლუბ „მონაკოს" მთავარ მწვრთნელ დიდიე დეშამს „პორტუსთან" გადამწყვეტი მატჩის შემდეგ, შეუძლია დატოვოს თავისი პოსტი. მისი სამსახურით დაინტერესებულნი არიან ლონდონის „ჩელსი" და ტურინის „იუვენტუსი". გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ გუნდების წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკებები ფრანგ სპეციალისტთან.**

## 17,5 მილიონი ფუნტი მორიენტესისათვის

ინგლისის ჩემპიონის ლონდონის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ დაინტერესებულია ფერნანდო მორიენტესის შეძენით, რომელიც წარმატებით ასპარეზობს საფრანგეთის „მონაკოს" შემადგენლობაში. თვით ფეხბურთელმაც დაადასტურა ინგლისური კლუბის დაინტერესება მისადმი.

„ვამაყობ, რომ ჩემი გადაყვანა სურთ ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან „არსენალი" და „ჩელსი". სამწუხაროდ, ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული, – მე არენდით ვარ განათხოვრებული „მონაკოში" და სინამდვილეში მადრიდის „რეალს" ვეკუთვნი. ასე რომ, ყველაფერი სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს", – ამბობს მორიენტესი.

## კამაჩო კეიროშს შეცვლის?

**მიმდინარე სეზონში ვერც ერთი ტიტული რომ ვერ მოიგო, მადრიდის „რეალის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს კარლუშ კეიროში. ახალი მწვრთნელის ვინაობას „სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობა ორშაბათს ან სამშაბათს დაასახელებს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ კეიროშის ადგილს ხოსე ანტონიო კამაჩო დაიკავებს.**

# ნბა

## წინ ნახევარფინალებია



ნბა-ს ფლეი-ოფის ნახევარფინალში გავიდა „ინდიანა“. მას „მაიამისთან“ მატჩების სერიაში, რა თქმა უნდა, ფავორიტად თვლიდნენ, თუმცა, ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს გუნდი სტუმრად შეძლებდა „მაიამის“ დამარცხებას სერიის მეექვსე შეხვედრაში. საქმე ის არის, რომ ამ მატჩამდე „მაიამის'' კალათბურთელებმა 18 საშინაო თამაში მოიგეს ზედიზედ. უნდა ითქვას, რომ მაიამიმ 2003-2004 წლების სეზონი წარუმატებლად დაიწყო, თუმცა, ჩემპიონატის მეორე ნახევარში, სტენ ვან განდის მოსვლის შემდეგ ნამდვილი ფურორი მოახდინა და ფლეი-ოფშიც გავიდა.

„მაიამიმ'' „ინდიანასთან'' გადამწყვეტ მეექსე მატჩში „საკუთარი კედლების'' ფაქტორი ვერ გამოიყენა და დამარცხდა — 70:73. გამარჯვებულთა რიგებში საუკეთესო იყო არტესტი, რომელმაც „ინდიანას'' 27 ქულა შესძინა და მოედანზე დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა.

„საერთო გასვლით მატჩებში ყველა გუნდისათვის რთულია გამარჯვების მოპოვება. „მაიამისთან'' უძნელესი თამაში გვქონდა, მაგრამ ძალიან კარგად ვითამაშეთ და მასპინძლებს ნამდვილი შტურმი მოვუწყვეთ'', — განაცხადა რონ არტესტმა.

სერიაში საბოლოო ანგარიში 4-2 დაფიქსირდა „ინდიანას'' სასარგებლოდ.

**გუშინ** კიდევ ერთი ნახევარფინალისტი გაირკვა: მეოთხედფინალური სერიის მეშვიდე მატჩში „მინესოტამ'' 3 ქულის სხვაობით დაამარცხა „საკრამენტო'' და შემდგომ ეტაპზე გავიდა. გამარჯვებულთა რიგებში გამორჩეული იყო კევინ გარნეტი, რომელმაც 32 ქულა დაგროვა.

# მონაკოს «გრან-პრის» წინ

**„ფორმულა-1“-ის მორიგი ეტაპი, როგორც ცნობილია, მონაკოს „გრან-პრია“. საინტერესოა, თუ რას ფიქრობენ ამ რბოლის წინ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის, „ფერარის“ პილოტის მიხაელ შუმახერის კონკურენტები.**

**ჯენსონ ბატონი:** „მონაკოს ტრასა მეტად განსხვავებულია სხვა ტრასებისაგან. იქ რბოლის მოგება კარგად დახვეწილი ტაქტიკით არის შესაძლებელი. არის კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მომენტი: ბოლიდის ტარება მუდმივად ბარიერებს შორის გიწევს. მოკლედ, „მონაკოში'' უძნელესი ტრასაა. იქ „ფერარის'' დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუმცა, შევეცდები შარშანდელი შეცდომა გამოვასწორო (ბატონს 2003 წელს მონაკოში ავარია შეემთხვა, — **რედ.**) და საპრიზო ადგილი დავიკავო.''

**ხუან პაბლო მონტოია:** „უდავოა, რომ მონაკოს ტრასა რთული და მეტად საინტერესოა. იქ მეტოქისთვის გადასწრება მთელი ხელოვნებაა. ერთი შეცდომაც და შეიძლება მთელი შრომა წყალში ჩაგეყაროს. მსურს მონაკოში წარმატებით ვიასპარეზო, თუმცა, ყველაფერი ჩემი ბოლიდის მუშაობაზე იქნება დამოკიდებული.''

**რალფ შუმახერი:** „მონაკოში რამდენიმე წელი ვიცხოვრე და ამ „გრან-პრის'' განსაკუთრებული გრძნობით მოველი. მონაკოში ყველაზე თანამედროვე ტრასაა. მე მჯერა საწაულების და მხოლოდ გამარჯვებისათვის ვიბრძოლებ.''

**ფერნანდო ალონსო:** „მონაკოს ტრასა იმდენად განსაკუთრებულია, რომ



ძნელია წინასწარ რაიმე პროგნოზის გაკეთება. ასეთ ტრასაზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ლიდერმა ფინიშს ვერ მიაღწიოს და აუტსაიდერი პირველ პოზიციაზე აღმოჩნდეს...''

**იარნო ტრული:** „მონაკოში რბოლებს ურიცხვი გულშემატკივარი ადევნებს თვალს და იქ ასპარეზობა ყოველთვის საინტერესოა. ასეთ რთულ ტრასაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული ბოლიდის ტექნიკურ გამართულობაზე. თუ პილოტი ასი პროცენტით ენდობა, სწორედ იმ შემთხვევაში შეუძლია მაღალი სისწრაფით რბოლა მონაკოს ტრასაზე.''

**ჯანკარლო ფიზიკელა:** „სრული სიზუსტე და ყურადღების გამოჩენაა საჭირო მონაკოს ტრასის თითოეულ მონაკვეთში. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. 1998 წელს ფინიშთან მეორე მივედი ჰაკინენის შემდეგ და მას შემდეგ საპრიზო ადგილზე ვეღარ გავსულვარ. შევეცდები, იქნებ მოვახდინო სასწაული...''

სპეციალისტები გამარჯვებას, რა თქმა უნდა, კვლავ მიხაელ შუმახერს უწინასწარმეტყველებენ.

თავად „ფერარის'' პილოტი კი „ბარის'' ბოლიდის მესაჭეს — ჯეისონ ბატონს უფრთხის.

შარშან მონაკოს „გრან-პრი'' ხუან პაბლო მონტოიამ მოიგო. მიხაელის თქმით, ის წელს აუცილებლად გამარჯვების მოპოვებას შეეცდება ამ ქალაქში.

გაცნობებთ, რომ მონაკოში გუშინწინ გაიმართა აუქციონი, რომელზედაც 175 მილიონ დოლარად გაიყიდა მიხაელ შუმახერის ძველი, 2000 წლის „ფერარის'' ბოლიდი, რომლითაც პილოტი ჩემპიონი გახდა.

# ანანდი ფიდეს წინააღმდეგ

**მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც წელს, ლიბიის ქალაქ ტრიპოლში გაიმართება, არ იასპარეზებს ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი. მან ჟურნალისტებთან საუბარში დაასახელა თავისი გადაწყვეტილების მიზეზი.**

**„მე არ მინდა ვითამაშო ისეთ შეჯიბრებაში, რომელიც უფრო მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპს ჰგავს. ვერ გავიგია, რატომ უნდა ჰქონდეს პრივილეგიები ცალკეულ მოჭადრაკეებს“,— ამბობს ანანდი.**

**შეგახსენებთ, რომ პრაღაში მიღებული ქარტიის შესაბამისად, ფიდე აპირებს, ზემოთ აღნიშნული ჩემპიონატის გამარჯვებული შეახვედროს გარი კასპაროვს. წყვილში გამარჯვებული შეხვდება კრამნიკისა და ლეკოს შორის საუკეთესოს და ამით გაირკვევა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა.**

# ტაისონი უკვე ვარჯიშობს



**მსოფლიოს ექსჩემპიონი სუპერმძიმე წონაში, სკანდალებით სახელგანთქმული მოკრივე მაიკ ტაისონი პროფესიულ რინგზე დასაბრუნებლად ემზადება.** ბოლო პერიოდში საზღვარგარეთულ პრესაში ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ „რკინის მაიკი'' კევინ მაკბრაიდთან იბრძოლებს. თუმცა, მომავალ ორთაბრძოლაზე ტაისონს ჯერ არ გაუფორმებია კონტრაქტი. ვარაუდობენ, რომ ტაისონ-მაკბრაიდის შეხვედრა 31 ივლისს შედგება.

„რკინის მაიკმა'' ბოლო ბრძოლა შარშან თებერვალში ჩაატარა კლიფორდ ეტიენთან და მეტოქე უკვე პირველივე რაუნდის წამებზე გაგზავნა ნოკდაუნში. ტაისონი 30 ივნისს 38 წლის სრულდება. მისი მომავალი მეტოქე მაკბრაიდი კი 31 წლისაა. ამ უკანასკნელს პროფესიულ რინგზე 31 ბრძოლა აქვს მოგებული, მარცხი კი ოთხჯერ იწვნია.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**21 მაისი. პარასკევი.**

**საქართველოს ტელევიზია. იმედი.** პროგრამა „ესტაფეტა'' (11.05). ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი (13.20, 21.05). „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი'' (15.00, 18.15). „ფუტბოლ მუნდიალი'' (17.00). ევროფანკლუბი (20.00). ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი: „მონაკო'' — „ჩელსი'' (22.50). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.55). კალათბურთი. ნბა. მიმოხილვა და ჩემპიონატის მატჩები (4.00, 4.30, 5.00, 6.00, 8.30, 9.00). ***НТВ плюс спорт.*** ჩოგბურთი. მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი (12.30, 1.30). ჰოკეი. სტენლის თასი. ნახევარფინალი (14.30, 22.45). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55). EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ევროპის ისტორიებიდან (11.30), 2004-ის შთამომავლობა (13.00). რალი. მსოფლიო ჩემპიონტი (13.30). საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი: ბრაზილია — სამხრეთ აფრიკის კავშირი (14.30). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (16.30). ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (18.30). ფეხბურთი: პლანეტა ევრო (20.30). ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (22.00). ძალისმიერი სამჭიდი. მსოფლიო ჩემპიონატი (0.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.30, 4.15). სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (2.45). ფეხბურთი. პლანეტა ევრო (3.45).

**22 მაისი. შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** „ფორმულა-1''. პირდაპირი რეპორტაჟი მონაკოდან (16.55). ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: თბილისის „თბილისი'' — ბოლნისის „სიონი'' (18.00). რუსთავი-2. ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა (18.20). **საქართველოს ხმა.** დოკ. ფილმი: „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს'' (23.40). **მზე.** ფეხბურთი „მზეზე'' (12.00, 21.30). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. „მონაკო'' — „ჩელსი'' (13.15, პირველი მატჩი). „ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი'' (15.55). ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალის პირველი მატჩი (16.40). გერმანიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (18.25, 22.50). უკრაინის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (20.55). გერმანიის ჩემპიონატი (0.30, შესვენებისას — 1.20 თავისუფალი დარტყმა). კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 5.00, 7.30, 8.00). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ოლიმპიური საკლასიფიკაციო ტურნირი. ვაჟები. კორეის ნაკრები — ჩინეთის ნაკრები (8.55, 0.30). ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (12.00). კალათბურთი. ნბა. პლეი-ოფი (14.15). სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი (16.40). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი რეპორტაჟი (17.55). ყველაზე ღონიერი ადამიანი. ფინალი. აშშ-ი. პირველი ნაწილი (19.30). „დიდი რინგი'' (20.30). ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი. „ვტა''-ს ფინალი (22.30). EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ევროპის ისტორიები (12.00). უეფა. ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი (12.30). უეფას არქივი (15.30), ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30). ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (17.30). ოლიმპიური თამაშები. მისია — ათენი (20.30). სუმო. სუმოს დიდი ტურნირი. ბაშო (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.30). საბრძოლო ხელოვნება (2.45), ევროსპორტის ახალი ამბები. (4.45).

**23 მაისი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** „ფორმულა-1''. პირდაპირი რეპორტაჟი მონაკოდან (16.55). **იმედი.** პროგრამა „ასი'' (18.00). ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია. პლეი-ოფი (1.30). **მზე.** ფეხბურთი „მზეზე'' (12.00, 22.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატი (13.15, 16.55), უკრაინის ჩემპიონატი (15.00, 18.35), ჩემპიონთა ლიგა. ნახევარფინალი. პორტუგალიის „პორტუ'' — ესპანეთის „დეპორტივო''. პირველი მატჩი (20.35). ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.25, 0.20). კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 5.00, 6.00, 8.30, 9.00). ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ოლიმპიური საკლასიფიკაციო ტურნირი. ვაჟები. საფრანგეთის ნაკრები — კანადის ნაკრები. პირდაპირი ტრანსლაცია (8.55). ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი. ფინალი (12.30, 23.45). სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი. ნაწილი მე-2 (16.10), „ნოკაუტი'' (15.45), ყველაზე ღონიერი ადამიანი. ფინალი. ნაწილი პირველი აშშ-დან (17.25). ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (17.55). ბრძოლა წესების გარეშე (20.30). დოღები. გრან-პრი. გადაცემა მოსკოვის ცენტრალური იპოდრომიდან (22.30). ჭადრაკი. მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის (23.15). ტაილანდური კრივი (1.30). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004 (11.30). ნიჩბოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (13.30), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (14.30, 3.15), ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია (17.30). საბრძოლო ხელოვნება (20.30). ევროსპორტის ახალი ამბები (3.00, 4.15).

# კელი უაიტი ოლიმპიადაზე ვერ წავა

ამერიკელ მორბენალს კელი უაიტს ორგანიზმში აღმოუჩინეს დოპინგის ნაკვალევი, რის გამოც მას ჩამოართვეს მსოფლიო ჩემპიონატის ორი ოქროს მედალი და ორწლიანი დისკვალიფიკაციაც „გამოუწერეს''. აქედან გამომდინარე, უაიტი ოლიმპიურ თამაშებსაც გამოტოვებს.

**ქ. თბილისის ოლიმპიური კომიტეტი, პირადად მისი თავმჯდომარე ვლადიმერ კანკავა თანაგრძნობას უცხადებს თბილისის მერიის საფინანსო სამმართველოს უფროსს ამირან ჯებისაშვილს სიდედრის**

**ანა პატარაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კომპლექსური სპორტული სკოლა და პირადად მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე სამძიმარს უცხადებენ თბილისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსს ამირან ჯებისაშვილს სიდედრის**

**ანა პატარაძის**

**გარდაცვალების გამო.**



## კროსვორდი №40

**თარაზულად** 1. ბავშვთა სპორტსაზოგადოება საქართველოში, სპორტული ჟურნალის სახელწოდება, 8. პოპულარული რუსი მოჭიდავე, 9. ყოჩაღი, ცქვიტი, მოხერხებული... 10. აღმოსავლეთ ციმბირის მთიანეთი, 11. ინგლისელი მოჭადრაკე, დიდოსტატი, 15. იტალიელი ცნობილი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, ამჟამად ვეტერანი, თამაშობდა შოტლანდიაში, 17. გერმანიის საფეხბურთო კლუბი, 19. საკალათბურთო ნაციონალური ასოციაცია, 20. ცნობილი ჩეხი ფეხბურთელი, 22. ცნობილი ქართველი მეკარე და მწვრთნელი, 25. საბერძნეთის ძველი სახელი, 28. ცხენი, ბედაური, მერანი... 29. მანქანის მთავარი ნაწილი, 30. ვეტერანი დინამოელი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 2. მოკლე მანძილზე მორბენალთა დაბრკოლება ბილიკზე, 3. ევროს წინამორბედი საერთო ევროპული ვალუტა, 4. მადრიდის საფეხბურთო კლუბი, 5. ფრანგული ფეხბურთის 80-იანი წლების ერთ-ერთი ბრწყინვალე ვარსკვლავი, 6. ბილიარდის ჯოხი, 7. ვეტერანი ქართველი ფალავანი, 12. ცნობილი ქართველი მწვრთნელი ჭიდაობაში, ილო ... 13. შვედეთის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი. 14. ერთი ხელი თამაში, 16. საქართველოს სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, 18. თბილისის „დინამოს'' კალათბურთელი, 21. ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელის ნეტოს სახელი, 23 სუმოში ეტაპობრივი ტურნირი, 24. ნბა-ს საკალათბურთო კლუბი, 26. პროფესიული მოკრივე, დევიდ... 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი.

**მოამზადა ნოდარ ჯაჯვაძემ**

## №39 კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ჯოტია, 7. კვიპროსი, 8. „ტვენტე'', 9. „ულმი'', 11. კროსი, 13. კიი, 15. კაშია, 16. მორფი, 18. „ავაზა'', 20. ათლეტი, 23. ზირაქიშვილი, 25. „ნანტი'', 26. „თბილისი''.

**შვეულად:** 1. ქველიაშვილი, 2. იორკი, 3. „ჯირო'', 4. ტოტი, 5. „ამერი'', 6. ჰუტი, 10. იშიაზი, 12. სო, 14. მოია, 16. მალდინი, 15. რატი, 19. კოშკი, 20. „ამიცა'', 21. ოქმი, 22. „ბაია'', 24. რუი.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. ოვჩინიკოვი

(1929 წ. სპეც. პრიზი)




შამათი 2 სვლაში

№39-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლe5+!

1. .... მფd3 2. 0-0-0X,

1. .... მფf3 2. 0-0X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru